№ 79 | 1877—1905 | № 79

ხუთშაბათი, 19 მაისი

ხუთშაბათი, 19 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის ივნისის 19 დღესა, კვირას, დილის ათ საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სადგომში, დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრების განსახილველი და დასამტკიცებელია:

1. ანგარიში საზოგადოების 1904 წლის მოქმედებისა.
2. მოხსენება გამგე კომიტეტისა ამ ანგარიშების გამო.
3. სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1905 წლისათვის.
4. მოხსენება გამგე კომიტეტისა სასკოლო სადგომის შენობისა გამო.
5. მოხსენება გამგე კომიტეტისა შემოწირვის-თვის ძმათა ზუბალაშვილთა-მიერ 50,000 მანათისა სახსოვრად გასვენებულის მათის ძმის ს. კ. ზუბალაშვილისა.
6. არჩევანი გამგე კომიტეტის ერთის წევრისა ნაცვლად გ. დ. ბაბაშვილისა, მის გასვლისა გამო ვადამდე.
7. სხვადასხვა საკითხები.

(3—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ამეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაზანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. მძოლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და სახებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. მძოლიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ვ. ხ. მუხხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ვინ ვის არჩენს?

წინა წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ ოფიციალურ „ანგარიშებიდან" ამოკრებილი ციფრები, რომელნიც გვიჩვენებენ, თუ რამდენ ფულს აძლევს კავკასია რუსეთის ხაზინას წლიურად და რამდენი ხარჯი უნდება მის მართვა-გამგეობას. ციფრებმა დაგვარწმუნა, რომ ის შემოსავალი, რომელსაც კავკასია აძლევს სახელმწიფოს, ბევრად მეტია იმ ხარჯებზე, რომელიც უნდება ეხლანდელ წესწყობილებაში ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. იმ ციფრების განმარტების დროს ჩვენ არაფერი გვითქვამს ზოგიერთ ისეთ გარემოებაზე, რომელსაც მცირე მნიშვნელობა არა აქვს საგნის სავსებით გასათვალისწინებლად.

როგორც იცით, კავკასიაში მრეწველობა ნაკლებ არის განვითარებული. დიდძალი უმრავლესობა სამრეწველო ნაწარმოებთა ჩვენში რუსეთიდან მოდის. რუსეთის ბურჟუაზია ჩვენში პოულობს ბაზარს თავის საქონლისათვის და ამგვარად ფულის სახით იბრუნებს უკან იმ საქონელს, რომელსაც იგი რუსეთში ამზადებს და გასაყიდად კავკასიაში გზავნის. საქონლის გადმოტანა სწარმოებს რკინის გზებით, რომლებიც რუსეთში ხაზინას ეკუთვნის და, მაშასადამე, ის შემოსავალი, რომელსაც რკინის გზა იღებს გადმოტანილ საქონელზე, შედის ხაზინაში. სტატისტიკურად სრულის სისწორით არ შეიძლება იმის გამოანგარიშება, თუ რამოდენა ჯამს ადგენს კავკასიაში შემოტანილ საქონელზე აღებული ფრახტი, მაგრამ ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ძალიან თვალსაჩინოა.

რასაკვირველია, საზოგადოდ სამრეწველო ნაწარმოებთა გასავალი და მოხმარება კავკასიაში უფრო მეტი იქნებოდა, რომ ადგილობრივ საწარმოვო ძალა განვითარებული იყოს და მკვიდრს უზომო და უსამართლოდ განაწილებულ გადასახადებისაგან ეკონომიური ძალ-ღონე არა ჰქონდეს გამოცლილი. ჩვენებური გლეხი წელებზე ფეხს იდგამს, სახელმწიფო გადასახადებს იხდის და თვითონ შიშველ-ტიტველი დადის. მისგან გადახდილი ფული ზოგი ხაზინაში შედის წმინდა შემოსავლის სახით და უფრო დიდი ნაწილი იხარჯება ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეზე.

რას ნიშნავს ეს «ადგილობრივი მართვა-გამგეობის საქმე»? იმას, რომ იმ მოხელეთა ლაშქარს, რომელნიც დღეს განაგებენ ქვეყანას, ჭამა-სმა, შენახვა უნდა, მცხოვრებთაგან აკრებილი გადასახადები ჯამაგირებად ეძლევათ „ჩინოვნიკებს", რომელნიც — როგორ? ეს ხომ ყველამ ვიცით დღეს—განაგებენ ჩვენს მხარეს. და რადგანაც ჩვენში, როგორც ვსთქვით, მრეწველობა შედარებით მცირედაა განვითარებული, ჩინოვნიკთა ჯამაგირების დიდი ნაწილი რუსეთის მრეწველებს ეძლევათ იმ ნაწარმოებთა ფასად, რომელთაც ეს ჩინოვნიკები აქ ყიდულობენ და ხმარობენ. ამგვარად, ასეთის წესით ერთსა და იმავე დროს ორი კურდღელია დაჭერილი: რუსის ჩინოვნიკობასაც საზრდო ეძლევა, რუსეთის მრეწველებსაც—სარგებელი.

კავკასიაში მყოფ მოხელეთა დიდძალი უმრავლესობა ეროვნებით რუსები არიან და არა კავკასიის მკვიდრნი. კავკასიელისათვის დახშულია სახელმწიფო დაწესებულებათა კარები. ამგვარად იმ ფულიდან, რომელსაც „კავკასიის მართვა-გამგეობისათვის" აქაური ჩინოვნიკები იღებენ, ადგილობრივ მკვიდრთ ძალიან მცირე და უმნიშვნელო ნაწილი უწევთ. მთელი ჯამი შეიძლება ვთქვათ, რუს მოხელეებს მიაქვთ, რის მეოხებითაც ისინი ახერხებენ თავის კერძო ცხოვრების გემოიანად მოწყობას, შვილების გამოზრდას და ასე მოდგმიდან მოდგმაში პრივილეგია-მდგომარეობის შენარჩუნებას,

მცირე საქმე არ გახლავთ ეს. კავკასიის ეს ხარჯი წლიურად 52 მილიონ მანათით გამოიხატება. 52 მილიონი მანათი უნდება წლიურად კავკასიის მართვა-გამგეობას, ე. ი. ბიუროკრატიულ დაწესებულებათა და რუს მოხელეთა შენახვას.

ცხადია, ამ ხალხს, შიდა-რუსეთშიაც რომ ყოფილიყო, ჭამა-სმა და თავის რჩენა დასჭირდებოდა და თუნდ იქაც ასეთივე, სახალხო ეკონომიის მხრით, უნაყოფო პროფესია ეშოვნა, მაინც მისი შრომა ეკონომიურ ზარალის გამომხატველი იქნებოდა. კავკასიას ნაკისრები აქვს ამ ხალხის შენახვა და ამისთვის საჭირო ხარჯებსაც ეწევა.

ამას შემდეგ მკითხველი, იმედია, ადვილად მიხვდება, თუ ვინ ვის ინახავს და არჩენს: რუსეთი ან რუსეთის ხალხი კავკასიას, თუ კავკასია—რუსეთის მცხოვრებთა ნაწილს, რომელსაც საერთო სახელად კავკასიის ბიუროკრატია ეწოდება...

ღმერთი გამარჯვებისა

ამბობენ, იაპონიამ კრუპპის ზარბაზნებით და შიმოზას თოფის წამლით გაიმარჯვაო, სწერს იაპონელი დოქტორი ნიტობე; იმასაც ამბობენ, კარგი მასწავლებლები ჰყავდა სამხედრო ხელოვნებისა, და იმიტომ გაიმარჯვაო. მაგრამ კრუპპისა კი არა, კრუპპისაზე უკეთესიც რომ ყოფილიყო, ზარბაზანი თავისთავად ვერ გავარდებოდა; და რაც უნდა კარგი მასწავლებელი ყოფილიყო, გმირად ვერ აქცევდა ლაჩარს. გამარჯვება განათლებამ მოგვანიჭა და წინაპართა სულმა, რომელიც გულს გვიმხნევებს, მკლავს გვიმაგრებს.

მართლაც, სწორედ იმით გაიმარჯვა იაპონიამ, რომ ძველებურს თავის დიდებულ კულტურას თანამედროვე ევროპიული განათლება შეუერთა.

რომ მართლა დიდებული იყო ძველი იაპონელთა კულტურა, ცხადია, რადგან უამისოდ ვერ შეიგნებდა ევროპიულ მეცნიერების საჭიროებას—მართებლობაც და ხალხიც და ყოველ ღონისძიებას არ იხმარებდა მის შესათვისებლად. მოუმზადებელი, განუვითარებელი ხალხი ასე სწრაფად, სულ 35 წლის განმავლობაში გვერდში ვერ ამოუდგებოდა ევროპის მოწინავე ხალხებს.

ჯერ ისევ 1872 წ. გამოაცხადა მიკადომ:

„ჯარის კაცს, მოხელეს, მეურნეს, ვაჭარს, ექიმს, ხელოსანს ცოდნა შეჰქმნის, და ცოდნას მეცნიერების შესწავლა შეგვძენს. ჩვენი განძრახვაა, ისე მოვფინოთ ჩვენს ქვეყანას სწავლა-განათლება, რომ აღარც ერთს სოფელში არ მოიპოვებოდეს უვიცი ოჯახი, და აღარც ერთ ოჯახში—უვიცი ოჯახიშვილი".

ეს განძრახვა უკვე განახორციელა მიკადოს მართებლობამ და უვიცის პოვნა დღეს იაპონიაში ყოვლად შეუძლებელია. სწავლა 6—14 წლის ბავშვთათვის ორივ სქესისა სავალდებულო არის. სამღვთო სჯულის ადგილი ზნეობის გაკვეთილებს უჭირავს: ბავშვს სინიდისს უვითარებენ და ცდილობენ—ზნეობრივ სრულ ადამიანად შექმნან. სკოლა აერთებს ევროპიულ მეცნიერებას და ძველის ძველ იაპონურ ზნეობრივ იდეალისადმი მისწრაფებას. სკოლა დღესაც 1890 წლის ბრძანებით ხელმძღვანელობს, რადგან სამშობლოს სიყვარულსა და წინაპართა თაყვანისცემაზე ამყარებს მოზარდ თაობის მომზადებას:

„ჩვენთა წინაპართ ურყეველი ნიადაგი დაუდეს სახელმწიფოს სათნოების და სიკეთისას. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იმავ სათნოებას და საყოველთაო სიკეთის ზრდას ემსახურებოდა ყოველი იაპონელი; ეს იყო არსება ეროვნული პოლიტიკისა და ესვევ უნდა დაედვას პრინციპად სახალხო განათლებას.

მოსიყვარულე შვილი იყოს ყველა ჩვენი ქვეშევრდომი, ერთგული მეუღლე და უებრო მეგობარი; თავდაბალი და გულკეთილი. განივითაროს გონება ცოდნით და ზნეობა სამშობლოს სიყვარულით. ნუ დაივიწყებს საზოგადო საქმეს, განაძლიეროს სამშობლოს სიკეთე და, თუ გაჭირდა, სიცოცხლესაც ნუ დაზოგავს სამშობლოს დიდებისთვის. განაძლიეროს და ადიდოს სამშობლო, რომელიც თავის შვილთა მეოხებით არის ძლიერი და უკვდავი.

ასე მოიქცეს ყველა, ვისაც წინაპართა უკვდავება სწამს, ეს არის წინაპართა ანდერძი, მომავალ თაობათათვის სახელმძღვანელოდ დადებული, და ვისაც სწამს უძლეველი და უკვდავი სამშობლო, არც ამ ანდერძს უღალატებს"

ნაპოლეონი ბრძანებდა და მას შემდეგ ევროპამ ქვაკუთხედად დაუდო მის სიტყვა სამხედრო მეცნიერებას: ღმერთი გამარჯვებისა ყოველთვის იქით არის, საითაც უფრო მეტი ჯარი არისო. ისტორიაში მრავლად მოიპოვება წინააღმდეგი ფაქტები, მცირე რაზმს ხშირად დაუმარცხებია ჯარ მრავალი ლაშქარი და მაშასადამე ბრძოლის ღმერთი, ღმერთი გამარჯვებისა მარტო რაოდენობის თაყვანისმცემელი არა ყოფილა. ასე ყოფილა და კვლავაც ასე იქნება: გამარჯვება დამოკიდებულია ჯარის განვითარებაზე და სამშობლოს კეთილდღეობისა და დიდების შეგნებაზე.

გენერალმა სტესსელმა რომ პორტ-არტური დაუთმო იაპონელებს, თავი იმითი იმართლა, ჯარი არა მყავდა... ერთზე სამი მოდიოდაო, და აღარც ყუმბარები მქონდაო. ტყუილად კი არ ამბობდნენ, მიუვალია პორტ-არტურის ციხეებიო. სტესსელის შემდეგ იმავ დღესვე გენერალი კონდრატენკო ნახა ინგლისელმა ემერსონმა და სწერს: გენ. კონდრატენკომ სთქვა, ჯარიც ბევრი გვყავს და ყუმბარაც რავდენიმე სამყოფიო... პორტ-არტური უჯარობამ კი არა, დამცველთა სულიერმა სისუსტემ დასცა, რომელსაც აქეთ-იქიდამ მოგროვილი და შეიარაღებული ბრბო კი არა, შეგნებულნი მამულიშვილნი ებრძოდნენ, თანამედროვე ცოდნით და ძველებური საკუთარი კულტურით აღჭურვილნი. ძველი იაპონური კულტურა გამარჯვებას სამშობლოს სიყვარულით და რაინდულ ვაჟკაცობით დაეხმარა.

გუშინდელი ღლაპი, ევროპიელი, ქვეყნის არსებობას თავის დაბადების დღიდან სთვლის და თუ მის წინადაც ყოფილან ერნი, რომელთა სულიერი განათლება დღევანდელს ევროპიელზე მეტიც ყოფილა, ვერც კი წარმოუდგენია—ევროპიელებს განათლებულად მარტო ის ერნი მიაჩნიათ, რომელთაც ჯარები ჰყავთ, ზარბაზნები აქვთ, შრაპნელის ხმარება იციან და სხ., ევროპიელებს განათლებულად მარტო ის ერნი მიაჩნიათ, ვისიც ეშინიანთ. ვინც შეიარაღებული არ არის, ველურად აღიარებენ და ჯარით მიდიან მის გასანათლებლად, ე. ი. ამოსაწყვეტად, მიწის პირიდან აღსაგველად. ძველს კაცობრიობას ცეცხლითა და მახვილით „ანათლებენ" ევროპიელნი.

ტეხნიკით, იარაღით მძლავრს ევროპას იარაღითვე დაუხვდა იაპონია, მაგრამ ამ იარაღს და ერთობ ევროპიულ მეცნიერებას საკუთარი სული ჩაჰბერა, რაინდული და პატრიოტული.

იაპონიაშიაც, როგორადაც ყველგან, დიდი ხანი არ არის, რაც ფეოდალიზმი გადავარდა. იმ დროინდელი იაპონელი, თუ კაცი იყო და ქუდი ეხურა, დახელოვნებული უნდა ყოფილიყო არა მარტო სამხედრო საქმეში (ხმალი, მშვილდისარი, ჰიდილი, ჯირითი, ნავის ხმარება და სხ.), აგრეთვე, და არა ნაკლებ, წერა-კითხვაში, პოეზიაში, მუსიკაში, ისტორიაში; ამასთან ზნეობრივ სრული და უმწიკვლო უნდა ყოფილიყო. მათემატიკას იმ დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და დიდებულნი ისე ზრდიდნენ შვილებს, რომ არა თუ ანგარიში, ფულის ცნობაც კი არ შესძლებოდათ. ანგარიში და ფულზე ზრუნვა მოურავის საქმე იყო; ფულზე ლაპარაკი სამარცხვინოდ იყო მიჩნეული... დრონი იცვალნენ, და დღეს მათემატიკასაც ისევე სწავლობენ იაპონელნი, როგორადაც სხვა ყოველ მეცნიერებას.

მოზარდ თაობის აღზრდაში უმთავრესი ადგილი ეჭირა ზნეობას, რომლის საფუძველს ბუდდას მოძღვრება და წინაპართა თაყვანისცემა შეადგენდა. ბუდდას მოძღვრება სიმართლეზე არის დამყარებული და წინაპართა თაყვანისცემა, შინტო, იაპონელთა ეროვნულ სარწმუნოებად არის დადებული.

სიმართლე და ერთობ რაინდული პატიოსნება უპირველეს და უძვირფასეს ღირსებად ითვლებოდა და „ვაჟკაცს" იაპონურად „გიში"—ე. ი. „მართალი" ჰქვიან.

ვაჟკაცის სულიერი არსებისთვის ისე საჭიროა სიმართლე, სწერია იაპონელთა ძველს მწერლობაში, როგორადაც ხორცისთვის—ხერხემალი. თუ სიმართლეს უღალატა, წახდა კაცი, თუნდა უძლეველი გმირთ-გმირიც იყოს.

ამასთან სამართლიანი უნდა ყოფილიყო, ქვრივ-ობრის გამკითხველი, სუსტისა და უძლურის შემბრალებელი; ვაჟკაცი—გულჩვილიაო, ამბობს იაპონელი ძველი პოეტი.

უკვდავს სახელს ვაჟკაცი სამშობლოს სამსახურით მოიხვეჭს და ჭეშმარიტი ვაჟკაცობა სამშობლოსადმი მოვალეობის ასრულებაა; ღირსეული მამულიშვილი თავის დღეში არ უღალატებს ამ წმინდა მოვალეობას და, რაც უნდა გაუძნელდეს ცხოვრება, თავს არ მოიკლავს:

„სიკვდილი ადვილია; მასხარასაც შეუძლიან, მტრის რაზმში გადაერიოს და თავი შეაკლას. ნამდვილი მამაცი მაშინ არის ვაჟკაცი, როდესაც ცხოვრებისგან წამებულიც კი არ ივიწყებს თავის დანიშნულებას და მოთმინებით ელის თავის მხსნელ-სიკვდილს".

ამისდა მიხედვით ორი სიტყვა აქვს იაპონელს სიკვდილის აღსანიშნავად: სამშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილისას—მიიცვალაო—ამბობენ, და თავის მკვლელისას—ჩაძაღლდაო.

ვაჟკაცს თავის მოკვლა მაშინ შეუძლიან, თუ სახელი შეურცხვა; ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიან. ან რაღა საცოცხლებელია შერცხვენილი: ავი მუწუკივით მოედება სირცხვილი და სულით-ხორცამდე დაასახიჩრებს.

დასკვნაო, იტყვიან... ჩვენც უძლეველნი ვიყავით, ვიდრე სულს გვიდგამდა ჩვენი ძველებური ვაჟკაცობა; მაგრამ, იგერ საუკუნე შესრულდა, ჩვენსას ყველაფერს ზურგი მივაქციეთ, ახალი ვერა შევითვისეთ-რა და... თავში გვიფაჩუნებს, ვისაც არ ეზარება.

ი. შ.

პარტია, მისი პროგრამა და წყობილება *)

წარმოვიდგინოთ, რომ რამოდენმამე პირმა გადავწყვიტეთ ბეჭდურის და ზეპირის სიტყვის საშუალებით შემოვაღებინოთ კანონი, რომლის ძალითაც აკრძალული ექმნება ქარხნებში მუშაობა იმ ბავშვებს, რომელნიც 14 წლის ნაკლებისა არიან. დაგვერქმის ჩვენ ამ შემთხვევაში პარტია, დასი თუ არა? არ დაგვერქმევა. შეიძლება თანამოაზრეები დაგვარქვან და სხვა არაფერი. ჩვენი შემაერთებელი თუ მხოლოდ ეს ერთი აზრია, მის მიღწევას ჩვენი დაშლაც მოჰყვება უთუოდ, ვინაიდან ჩვენ მხოლოდ შემთხვევით შეერთებულნი ვართ გარკვეულ მიზნის მიღწევისათვის.

პარტია, დასი ასეთი შემთხვევითი შეერთება არ არის, ეს არის მტკიცე ერთობა, ჯგუფი, რომლის წევრებიც შეკავშირებულან ცხოვრებაში საუკეთესო წყობილების დასამყარებლად.

სანამ ხალხი ჯერ კიდევ განუვითარებელია, მასში შეიძლება სხვადასხვა აზრი ტრიალებდეს, შეიძლება სხვადასხვა მიმართულება იყოს, მაგრამ პარტიის, დასის არსებობა მასში არ არის შესაძლო.

დასის, პარტიის არსებობისთვის არის საჭირო ზოგიერთი პირობა, საჭიროა, რომ ხალხს ჰქონდეს მინიჭებული უფლება თვითონვე განაგოს თავისი საქმე, რომ ხალხს შეეძლოს სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისთვის საკუთარ წარმომადგენლების, სანდო პირების არჩევა.

როდესაც ხალხი თავის წარმომადგენლებს ირჩევს, მაშინ აშკარა ხდება სხვადასხვა პარტიის, დასის არსებობა და მოქმედება.

ევროპაში, სადაც ხალხი, დიდი ხანია, ირჩევს წარმომადგენლებს, სხვადასხვა პარტიის პროგრამას დაეკარგა მათი უწინდელი საპოლიტიკო ხასიათი და საზოგადოდ მიეცა ეკონომიური მიმართულება: საარჩევნო ბრძოლას სარჩულად უძევს სხვადასხვა ბაჟი, გადასახადი, სხვადასხვა კანონი მუშა-ხალხის შესახებ და სხვა და სხვა.

ყოველსავე დასს, ყოველსავე პარტიას აქვს აღნუსხული თავისი მრავალგვარი მოთხოვნილება, რომლის მიღწევას იგი ყოველთვის ცდილობს სახელმწიფოში. ამნაირ ნუსხას ეძახიან პარტიის პროგრამას. მოვიყვანთ მაგალითს. ავსტრიაში, სადაც სხვადასხვა ეროვნება არის მოთავსებული, ცხოვრობენ, სხვათა შორის, ჩეხებიც, რომელთაც წინად ცალკე სახელმწიფოც ჰქონიათ. ამ მხარეს ინტერესების დამცველები ავსტრიის საწარმომადგენლო საერთო დაწესებულებაში შეადგენენ ცალკე დასს, რომელსაც ჰქვიან ახალ ჩეხების პარტია. ამათ პროგრამაში სწერია: „ყოველსავე ძალღონეს შევწირავთ იმას, რომ არ იქმნეს დარღვეული ჩეხიის მთლიანობა და ერთობა ან დამოუკიდებლობა ავსტრიის სახელმწიფოში; ვეცდებით ავსტრიაში მივაღწიოთ ყველა ეროვნების თანასწორობას. ამნაირ მიმართულებაში ჩვენ ვხედავთ ავსტრიის უმთავრეს დანიშნულებას შემდეგში. რომელისამე ერთის ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება, მისი სავალდებულოდ შემოღება სასწავლებელში, ეკლესიაში და ოფიციალურ მიწერ-მოწერაშიაც, — უკანონოდ მიგვაჩნია და ვეცდებით შემოვიღოთ ენების თანასწორობა. ჩვენ გვინდა ყველა ეროვნების შერიგება იმისთვის, რომ შესაძლებელი შეიქმნეს ყველასათვის—შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ეროვნულ თავისუფლების საუკეთესო საფუძვლად მიგვაჩნია ავტონომიური დამოუკიდებლობა. ჩვენ ვემხრობით—პრესსის თავისუფლებას, სიტყვის, შეკავშირების, შეკრების თავისუფლებას. ჩვენ ვიცავთ ყველა კლასის ინტერესს, მათ სამართლიან მოთხოვნილებას ვემხრობით და გვინდა მოეწყოს სამართლიანად ცხოვრება".

პარტიების წყობილების გასაცნობად საკმარისია მუშათა პარტიის ან სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციის გაცნობა გერმანიაში. მათი პროგრამა 3 ნაწილისაგან შესდგება:

1) **მიზანი**. თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფო.

2) **მთავარი შეხედულება**: პარტია იმ აზრისაა, რომ ქარხნების და მსხვილ სამრეწველო დაწესებულებათა მომატებას მოჰყვება წვრილ მრეწველების დაღუპვა, წვრილ მრეწველების გაღარიბება. ამას მოსდევს სიმდიდრის კონცენტრაცია და ღარიბებსა და მდიდრებს შუა არსებულ ნაპრალის გაფართოვება, რაიც ეწინააღმდეგება სამართლიანობას. როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს? რაკი ყოველ სიმდიდრის წყარო შრომაა, ამიტომ ეს შრომა ყველასათვის უნდა შეიქმნეს სავალდებულო და საწარმოვო იარაღი უნდა

*) ფ. მუსკატბლიტის წერილიდან.

ჰქონდეს განაწილებული ყველას სახელმწიფოში.

3) **პრაქტიკული ნაწილი** კიდევ რამდენისამე ნაწილისაგან შესდგება:

მთელი ხალხის ინტერესების დასაცველად საჭირო პირობები:

ა) საყოველთაო, პირდაპირი, საიდუმლო და თანასწორი საარჩევნო უფლება ყველა სრულწლოვან ადამიანისთვის, განურჩევლად სქესისა. პროპორციანალური წარმომადგენლობა, მანამდის კი ხალხის ყოველ აღწერის შემდეგ საარჩევნო ოლქების ხელახლად დანაწილება. არჩევნები უქმე დღეებში უნდა ხდებოდეს...

ბ. ხალხი თვითონ უნდა იღებდეს მონაწილეობას არჩევანებში (რეფერენდუმი). მოხელე პირები უნდა აირჩიოს თვით ხალხმა. ამ მოხელე პირების პასუხისგებლობა. ყოველისავე კლასობრივ, ქონებრივ, წოდებრივ ან სარწმუნოებრივ პრივილეგიების მოსპობა.

გ) მუდმივი ჯარის მაგივრად ეროვნულ მილიციის მოწყობა. ყოველისავე საერთა-შორისო უთანხმოების გადაწყვეტა სამედიატორო სასამართლოში.

დ) ბეჭდურ სიტყვის კრების და კავშირების, შემზღუდველ კანონების მოსპობა.

ე) ქალების გათანასწორება უფლებით მამაკაცთან.

ვ) სწავლა სავალდებულო, საერო და უფასო.

ზ) უფასო ნაფიც მსაჯულთა სამართალი და საქმის ზეპირათ გარჩევა.

ჱ) ექიმობა და წამალი უფასო.

თ) ყოველ—არა პირდაპირ გადასახადის მოსპობა.

მშრომელ ხალხის ინტერესების დასაცველად საჭირო პირობები:

ა) 8 საათი სამუშაო დღე, ბავშვებისთვის მუშაობის აკრძალვა იმ საქმეებს გარდა, სადაც ეს ღამის მუშაობა საზოგადოებისთვის საჭიროა ან ტეხნიკურად აუცილებელი; კვირაში ერთხელ მაინც 36 საათის დასვენება.

ბ) ყველა სამრეწველო დაწესებულებათა ზედამხედველობა და ქალაქსა ან სოფლებში სამუშაო პირობების გაუმჯობესობა, რისთვისაც საჭიროა მშრომელთა მფარველ პალატების მოწყობა.

გ) სოფლის მუშათა და მოსამსახურეთა გათანასწორება სამრეწველო მუშებთან.

დ) შეკავშირების თავისუფლება.

ე) სახელმწიფოსაგან მუშების დაზღვევა.

ამ დიდ პროგრამაში ზოგიერთი რამ უკვე მიღწეულია გერმანიაში, მუშათა შესახებ კანონმდებლობაში მაინც. შემოღებულია აგრეთვე სიტყვის, პრესსის, კავშირების და კრებების თავისუფლება, რომელიც აუცილებელია არჩევნების წინ მოსალაპარაკებლად სხვადასხვა საერთო მიზნის შესახებ, ურომლისოდ შეუძლებელია ამა თუ იმ პროგამის მომხრეობა არჩევნების დროს, შეუძლებელია თვით დასის, პარტიის მოწყობაც. შეუძლებელია ხალხის წარმომადგენლობა.

როგორც თევზს სჭირია წყალი, ადამიანს ჰაერი, ისე ყოველივე ზემოხსენებულია საჭირო ხალხის წარმომადგენლობისთვის...

წესდების ძალით მუშათა პარტიის წევრად ითვლება მხოლოდ ის, ვინც ემხრობა პარტიის დედა-აზრს. პარტიას მეთაურობს გამგეობა თოთხმეტ არჩეულ პირისაგან შემდგარი. გამგეობის ხელშია ყველა საქმე, გამგეობამ უნდა მისცეს ანგარიში ყოველწლიურ კრებებს, რომელზედაც მონაწილეობას იღებს პარტიის ყოველი წევრი. ამ პარტიას 63 გაზეთი აქვს, უმთავრეს გაზეთის („წინ") მოქმედებას განსაკუთრებულ სალიტერატურო კომისია განაგებს. 1903 წ. ყველა გაზეთის შემოსავალი იყო ორ მილიონ-ნახევარი მანათი თავის აზრების გასავრცელებლად პარტია გაზეთებს გარდა კიდევ კრებებით სარგებლობს. ზოგიერთ კრებაზე თითქმის 30,000 კაცზე მეტი ესწრება. პარტიას თავისი საკუთარი წიგნების საწყობები აქვს, სასწავლებლები, თეატრი, მრავალი კლუბი...

რაც შეეხება პარტიის მომხრე დეპუტატებს, ისინი საკვირველი მშრომელნი არიან: ყოველ ახალ კანონს დაწვრილებით ირკვევენ ხოლმე.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

18 მაისი.

პეტერბურგი, 17 მაისი. ინიშნება გვარდიის საკავალერიო მეორე დივიზიის უფროსი გენერალ-ადიუტანტი გენერალ-ლეიტენანტი სკალონი ვარშავის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწედ; გენერალ-ლეიტენანტი რობაინკო—ურალის ოლქის სამხედრო გუბერნატორად.

ტორნი, 17 მაისი. დაიწყო პროცესსი ყოფილ ობერ-ლეიტენანტის გესსელისა, რომელსაც ბრალდება ჯაშუშობა საფრანგეთისთვის. გესსელს ბრალდება აგრეთვე ყალბ საბუთების შედგენაც.

განჯა, 17 მაისი. აზნაურთა კრებაზე გადასწყვიტეს გამოაცხადონ თავიანთი განკიცხვა ნახიჩევანის ამბების გამო და სთხოვონ გაზეთებს, არ დაბეჭდონ ტენდენციური ცნობები ბაქოს ამბების შესახებ.

კოვნო, 17 მაისი. გენერალ-გუბერნატორთან წარდგნენ კოვნოს თავად-აზნაურები და სთხოვეს მათი უქვეშევრდომილესი გრძნობები გადაეცა ხელმწიფისთვის 1 მაისის ბრძანების გამო. გენერალმა ფრეზემ დაუყოვნებლივ შეასრულა ეს თხოვნა.

ლონდონი, 16 მაისი. დიდ-მნიშვნელოვან საპოლიტიკო კომბინაციების დარღვევისა გამო ბალფური ავად შეიქმნა.

პარიზი, 17 მაისი. მალტიდან კრიტზე გაიგზავნა 1543 ოფიცერი და ჯარის კაცი. კანდიის ორ მნიშვნელოვან ადგილას ინგლისის ჯარებია გაწყობილი. მიწათ-მოქმედების კონგრესზე გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენელნი ეჭვობენ, რომ მას პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს. ინგლისელები და ამერიკელებიც ვერ ეკიდებიან თანაგრძნობით. ფრანგებიც ხელს არ უწყობენ.—ქედივი გუშინ ჩავიდა სტამბოლში და ხონთქართან მივიდა.

ბერლინი, 17 მაისი. მოვიდა ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზი.

კოპენჰაგენი, 17 მაისი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ნორვეგიის უცხოელმა ელჩებმა ინსტრუქციები მიიღეს, დროებითი მთავრობა არა სცნონ კანონიერად.

ბელგრადი, 17 მაისი. სკუპშჩინა დღეს გადააყენეს. ახალი არჩევანები 10 ივლისს მოხდება. ახალი სკუპშჩინა 23 ივლის შეიკრიბება. მთავრობამ აღუთქვა, ადმინისტრაციის შტატებს არ შევამცირებთო.

პეტერბურგი, 17 მაისი. რუსეთისა და სპარსეთის შორის პატარა ამანათების გაგზავნ-გამოგზავნის შესახებ დეკლარაცია უკვე შემუშავდა.

პარიზი, 17 მაისი (ჰავასი). უთვალავი ხალხი აღტაცებით მიეგება პრეზიდენტსა და ისპანიის მეფეს. მეფეს განსაკუთრებულ მცველობას უწევენ.

ბერლინი, 17 მაისი. იმპერატორმა პრინც არისუგავას შავი არწივის ორდენი უწყალობა, პრინცესს—წითელი ჯვრის მედალი პირველი ხარისხისა. დღეს რეიხსტაგში ბედლესტრომ განაცხადა: გუბერნატორ კამერუნას მოხსენებიდან სჩანს, რომ მდინარე პიანგისა და ჯას შუა ამბოხებამ იფეთქა, საქმეს მეტად საშიში ხასიათი ეძლევა. საჯარიმოს მახლობლად გამრემერს შეტაკება ჰქონდა მოამბოხეებთან, რომელთაც ფოსტის გაძარცვა სურდათ. 7 მაისს ერთი რაზმი გაიგზავნა კამში. მაშველი რაზმი ებოლოვაშიაც გაჰგზავნეს.

რომი, 17 მაისი. საერთაშორისო სამეურნეო ინსტიტუტის დამფუძნებელი კომისია ტიტტონის თავმჯდომარეობით 3 ნაწილად გაიყო. კომისია დღეს შეუდგება საქმეს. კონფერენციამ თავისი სხდომები გადასდო, ვიდრე კომისიები თავის მუშაობას დაამთავრებენ.

ჰელსინგფორსი, 17 მაისი. ხოგენტალის საქმეზე მეორე სხდომა იყო. ხოგენტალს სენატის პროკურორის მოკვლა ბრალდება, ბრალდებული ორი საათის განმავლობაში გასამართლებელ ქაღალდს ჰკითხულობდა. რამოდენიმე მოწმის გამოკითხვის შემდეგ, საქმის განხილვა 6 მაისამდის გადადო.

ნოვგოროდი, 17 მაისი. ეს მეორე დღეა ადგილობრივი სტამბების მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს. მიღებულია ზომები, რომ ქუჩებში არეულობა არა მოხდეს-რა.

რეველი, 17 მაისი. ორასი მუშა გაიფიცა ფურნეებში, მაგრამ პოლიციის მოსვლისათანავე ყველა დაიშალა.

ბელგრადი, 17 მაისი. ხმა დადის,—მთავრობამ ითავა შუამდგომლობა, რომ ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს უფროსად ნამყოფ ბალუგჯიჩს ეპატიოს დანაშაული. ამითი ახალი კაბინეტი ცხად ჰყოფდა, რომ პაშიჩის პოლიტიკასა ჰკიცხავს და შეთქმულთა დასს ემორჩილებაო.

პეტერბურგი, 17 მაისი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის კომისიამ სამრეწველო გარდასახადების შესახებ მუშაობა განაახლა. ფინანსთა სამინისტროს თავმჯდომარემ სასურველად სცნო, კომისიაში მონაწილეობა ერობისა და ქალაქის საბჭოთა წარმომადგენელთაც მიიღონ. რომ საქმე არ დაბრკოლდეს და მიწვეულ კომისიის მუშაობა არ შეფერხდეს შემოდგომამდე, თავმჯდომარემ შესაძლოდ სცნო ქალაქისა და ერობის წარმომადგენელნი შემდეგ ცალკე მოიწვიოს ფინანსთა სამინისტრომ. კომისია შეუდგება დეკემბერში ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტის სამრეწველოებზე ხარჯის გაწერის განხილვას.

ჰელსინგფორსი, 17 მაისი. რატუშის სასამართლოში გაირჩა საქმე ხოგენტალისა, რომელმაც სენატის ბრალმდებელი იონსონი მოჰკლა. ხოგენტალმა სასამართლოში წაიკითხა ვრცელი სიტყვა, რომელიც შესდგებოდა 180 გვერდიდან. ამ სიტყვაში იმან აწერა თავისი ცხოვრება და როგორ შევიდა სამსახურში ჟანდარმის კორპუსში. ბრალმდებელის თხოვნით, საქმე 7 ივნისისთვის გადადო.

ლოძი, 16 მაისი. ღამე, ალექზანკაში ხუთი ტყვიით მოჰკლეს უბნის ზედამხედველი სოლოდუხინი. ბოროტ-განმზრახველნი მიიმალნენ.

ჩიტა, 17 მაისი. ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად შემდგარმა კომისიამ აღნიშნა სანიტარის მხრივ ოლქის მოუწყობლობა, ექიმებისა და საექიმო იარაღების ცოტაოდნობა, ხალხის განუვითარებლობა და დაადგინა, ყველა ეს დაბრკოლებს თავიდან აიცდინოს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ საქმისთვის გადასდო 20,000 მანათი და გაგზავნა 6 ექიმი და 9 სტუდენტი.

ბერლინი. რეიხსტაგმა განიხილა რამდენიმე უმნიშვნელო მორიგი საკითხი, შემდეგ რეიხსტაგის სესსია იმპერატორის ბრძანებით დაიხურა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

17 მაისი.

პარიზი, 16 მაისი. რუსების ზარალის შესახებ მოსული ცნობები საშინელს შთაბეჭდილებას ახდენს. დილის გაზეთები თავ-შეკავებით სწერენ. ბევრი ჰფიქრობს, ჯერ უნდა გავიგოთ, რა ზარალი მოუვიდათ იაპონელებს და რუსის რამდენმა გემმა მიაღწია ვლადივოსტოკსაო.

ბერლინი, 17 მაისი „სისოი ველიკი"-ს შესახებ ცნობები ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ნიუ-იორკის უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ «სისოი ველიკი» და „კნიაზ სუვოროვი" დაზარალებულნი არიან, ტყვედ არ წაუყვანიათ. როჟესტვენსკი დაჭრილია.

ვაშინგტონი, 17 მაისი. („მორინგ პოსტ"-ი). საზღვაო დეპარტამენტმა ოფიციალური ცნობა მიიღო, „კნიაზ სუვოროვი" ჩაიძირაო. სად არის როჟესტვენსკი—არ იციან. ამერიკის ელჩი ტოკიოდან იუწყება, 7 მაისს ბალტიის ესკადრამ ჩასძირა ამერიკისა კი არა, ბრიტანიის გემიო.

პეტერბურგი, 17 მაისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა 16 მაისის თარიღით: „მტრის ერთმა რაზმი, რომელსაც 12 მაისს სიმიაოჩენი ეჭირა, 13 მაისს ღამე გავიდა ამ სოფლიდან და სამხრეთით აიშილიპუსკენ დაიწია. მარცხენა ფრთეზე 12 მაისს მტრის მოწინავე რაზმები ცდილობდნენ, ჩვენი სადარაჯო რაზმებისთვის უკან დაეხევინებინათ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ ლინევიჩისა: პირველი, 16 მაისის თარიღით: „ვლადივოსტოკში მოვიდა მეორე რანგის კრეისერი „ალმაზი". კრეისერის უფროსმა მაცნობა, 14 მაისს ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა შეებრძოლა იაპონიის ფლოტს ცუსიმას სრუტეში. დღისით მომხდარ ბრძოლაში დაიღუპნენ ჯავშნოსნები „კნიაზ სუვოროვი", „ბოროდინო", „ოსლიაბია" და კრეისერი „ურალი" ჯავშნოსანი „იმპერატორ ალექსანდრ ტრეტი" ძალიან დაზარალდაო. ბრძოლის დასაწყისში დაიჭრა გენერალ-ადიუტანტი როჟესტვენსკი და სხვა გემზე გადიყვანესო. ჩემი კრეისერი ესკადრას რომ მოშორდა და დაღამდა, ბრძოლა ისევ განახლდაო. „ალმაზი", დანარჩენ ესკადრას ჩამოშორებული, ვლადივოსტოკში მოვიდა".

მეორე, დამატებითი ცნობებით, რომელიც მივიღეთ კრეისერ „ალმაზის" უფროსისაგან, დღისით მომხდარ ბრძოლაში სატრანსპორტო გემი „კამჩატკა" ძალიან დაზარალებულა. „ალმაზ"-ი ჩამოშორებულ იქმნა ესკადრას და, რადგან ესკადრასთან შეერთება ვერ მოახერხა, ვლადივოსტოკში წავიდა. „ალმაზ"-ზე მოკლულია ლეიტენანტი მოჩალინი, 4 მატროსი, დაჭრილია 10 მატროსი, მათ შორის 3 მძიმედაა".

მესამე: „რომელი გემი გადარჩა, რომელი დაიღუპა—ამისი ცნობები არა გვაქვს".

გუნჯულინი, 15 მაისი (საკუთარი კორესპ.). საზოგადოდ ცვლილება არაფერია. ამ დღეებში გუნჯულინიდან 25 ვერსის მანძილზე ამოხოცეს ხუნხუზთა ბრბო, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა.

ლონდონი, 17 მაისი. ტოკიოდან მიღებულ დეპეშების თანახმად, რომელიც იაპონიის მისსიას მოუვიდა, იაპონელების მიერ დატყვევებული ოთხი გემი იაპონიის ნავთ-სადგურში 17 მაისს მიუყვანიათ. ეს გემები არიან: ჯავშნოსანი „ორიოლი", „იმპერატორ ნიკოლაი I", „ადმირალ სენიავინი" და „გენერალ-ადმირალი აპრაქსინი".

იოკოგამა, 17 მაისი. ვაშიშიმიდან აქ მოიყვანეს გემი, რომელიც რუსებს არ ეკუთვნის, 200 ოფიცრით და ჯარის კაცებით. ინობუეს მახლობლად გაიარეს ჩინეთისაკენ რუსის გემებმა.

შანხაი, 17 მაისი. მოვიდა სანაზღვრო გემი „კორეა", გვერდი შენგრეული აქვს. მოვიდა აგრეთვე გემი „სვირი". ორივე გემი ცუსიმას სრუტედან გამოსულა დილით, 17 მაისს, ბრძოლის დაწყებისათანავე. ისინი გადმოგვცემენ, ჩვენ დავინახეთ, რომ იაპონიის სამი გემი ჩაიძირა და ხუთი დაზარალდაო: რუსის გემებიდან 4 ჩაიძირა და 4 დაზარალდაო. რუსის გემების უმეტესმა ნაწილმა წრე გაარღვია და ჩრდილოეთისკენ წავიდა, იაპონელები უკან მისდევენო.

გუნჯულინი, 16 მაისი. მთავარ ბანაკში ჩავიდა პრინცი ლეოპოლდი პრუსიელი, რომელსაც დიდის ამბით დახვდა მთავარსარდალი, შტაბი და საპატიო ყარაულიც. პრინცი განსაკუთრებულ მატარებელში იცხოვრებს სამხრეთ ნაწილს ერთ-ერთ უკანასკნელ სადგურზე.

ტოკიო, 17 მაისი. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საღამოს მიღებულმა ცნობამ საზღვაო ბრძოლის შესახებ. არავინ არ მოელოდა, რომ იაპონელების ფლოტი ასე ნაკლებად დაზიანდებოდა ბრძოლაში. ბრძოლის პირობები იაპონელთათვის მეტად მოხერხებული იყო. იაპონელების გემები ბევრად უფრო მალე მოსიარულე იყო, ვიდრე რუსეთის ფლოტი. მოწმენდილი ცა ხელს უწყობდა იაპონელთა ნაღმიან გემების მოქმედებასაც. იაპონელები კვალდაკვალ მისდევენ რუსების გემებს. ბრძოლაში რუსის 26 გემი იღებდა მონაწილეობას. ბირჟაზე ქაღალდების ფასმა შესამჩნევად იმატა.

ნიუ-იორკი. 17 მაისი. ტოკიოში მყოფ ამერიკელ საზღვაო აგენტის ცნობით, რუსეთის ფლოტი იაპონელთაგან მიტანილ იერიშის დროს ორ ნაწილად მიდიოდა სრუტეში. მარჯვნივ იყო საესკადრო ჯავშნიანი გემები, მარცხნივ კრეისერები: თავში მიდიოდა „ჟემჩუგი", შემდეგ „ბოროდინო", „ორიოლი", „კნიაზ სუვოროვ", „იმპერატორ ალექსანდრ III", „ოსლაბია", „სისოი ველიკი", „ნავარინ" და „ნიკოლაი I"; შემდეგ „ადმირალ უშაკოვ", „ადმირალ სენიავინ" და „გენერალ აპრაქსინ".

ვაშინგტონი, 16 მაისი. იაპონელების საელჩოს აზრით, იაპონიაში ფიქრობენ, რომ უკანასკნელ გამარჯვებას ზავის ჩამოგდება მოჰყვება. მოლაპარაკება ვაშინგტონში უნდა დაიწყოს. ადმირალ დიუიც ზავის ჩამოგდებას წინასწარმეტყველობს. ტოკიოში მყოფი ბრიტანიის ელჩი იტყობინება, ადმირალ როჟესტვენსკის მიერ-ჩაძირული გემი ინგლისისა იყო და არა ამერიკის გემიო.

პარიზი, 17 მაისი. აქ ამბობენ, თავის მოხსენებაში ტოგო, ალბად, ამცირებს ან მალავს იაპონელების ზარალსო. შანჰაიდან კერძოდ იტყობინებიან, რომ შვიდი იაპონელი გემია დაღუპულიო, მათში ორი ჯავშნიანი გემი იყო.

ფელეტონი

ბერიკაული

ხმალს ჰლესავს ბერიკაული,
დაფიქრებული ძალზედა,
ჰლესავს დიდრონა სალესით,
თან ცერს გადუსვამს ფხაზედა.
დიდხანს ეკიდა კაჭხაზე,
არ გატანილა კარზედა.
შემჭვარტლული აქვს ქარქაში,
მტვერი სდებია ტარზედა,
ხმალი ჟანგს შეუჭამია,
ვაჰ დედას მტრისას, რაზედა?
მოსულან ახალ-უხლები,
წამოსდგომიან თავზედა:
„ხმალს ვისზე ჰლესავ, ბიძაო,
მაგრე გულმოდგინებითა?
შენ უნდა ცელსა ჰლესავდე,
ან ცულსა?" — ჰკითხეს წყენითა.
— თქვენ ბაღლები ხართ, რა იცით,
დღეში ათასჯერ სცდებითა.
კარგახან ვლესე ისინი,
ვიქნიე ცული, ცელია,
დავღვარე ოფლი მრავალი,
მით მოვრწყე ტყე და ველია,
მათ სამსახურში დავლიე
წუთი-სოფელი მთელია.
მაინც ვერ ამოვიყვანე
უბეს ნაჯდომი გველია.
ქერის პურს დანატრებულსა
ვინ მომცა ლუკმა სველია?!
საკმაო ხანი ვითმინე,
მოთმენა გამომელია.
ახლა ხმალს ვლესავ გორდასა,
გადვესვა იმას ჭერია.
იქნება იმან მიშველოს
და მომაშოროს მტერია.
აჰმა ბერიკაულმა
მაღლა წარბები სწედია
და გადმოყარა თვალთაგან
ნაპერწკლის ჯგუფი ცხელია.
„მტერზე ჩვენ მივალთ—ახლები,
შენ დაწვე, დაისვენაო".
— ჰმ! თუ წინ ბერი არ მოჰყვა,
ახლის სიკვდილი ძნელია!—
ჭკვიანად სთქვა ბერიკაულმა,
ოხვრა ამოჰხვდა გრძელია.

ვაჟა-ფშაველა.

ერთის კაცის დღიურის ერთი ფურცელი.

დაღონებულ-დაძმარებული ვზივარ ჩემის ფანჯრის წინ და ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ნაღვლიანად ვათვალიერებ.

ღრუბლიანი, უგემური დღეა.

გამოურკვეველი სევდა გულს მიღრღნის, სულს მიწუხებს.

ვინ იცის თქვენ ბედნიერი, უზრუნველი ხართ და არც კი იცოდეთ რა არის სევდა! იქნებ თავისს დღეშიაც არ დაფიქრებულხართ თქვენს წარსულზე, თქვენს აწმყოზე, იქნებ თავის დღეში არავინ გყვარებიათ, არავინ გჯავრებიათ, არ მოგშივნიათ, დამცირება არ გამოგივლიათ. იქნება სცხოვრობთ ისე, ალალ-ბედზე, ფარვანასავით. ნეტავი თქვენ, თუ კი ნეტარება თავდავიწყებას დაერქმევა!

მე კი?

ჯერ ისევ პაწია ვიყავ, შინდის ჯოხი რაში მეგონა და მინდვრის ყვავილები—ჩემი ამხანაგები, როდესაც უცბად სახლს მომაშორეს და ერთ დახავსებულ სასწავლებელში მიმაბარეს.

გული დანებურა. ცრემლები მარჩობდა. აყროლებულის ქალაქის ჰაერი არა მყოფნიდა. მთელი დღე აჩრდილივით დავხეტიალებდი: გული მიკვნესდა, მწყუროდა თავისუფლება, მენატრებოდა დედის ალერსი, მაგრამ ამის ნაცვლად ჩემი ბინის პატრონი რიყეზე კიწაწებს მაგროვებინებდა, წყალს მაზიდვინებდა, მცემდა, მეჩხუბებოდა.

ეხ! ვინ იცის რამდენი შვილი დატანჯულა უპატრონოდ, უდედოდ?...

ობოლი ვიყავ, ქვეყანა თავში მცემდა, ჩემის ბავშვობით, ჩემის გამოუცდელობით სარგებლობდა. იდამიანად კი არა, მონად, ყურ-მოჭრილ მონად მზდიდნენ, მეტყველად კი არა, პირუტყვად მამზადებდნენ.

ველარ გავუძელ ამ ტანჯვას. ჩემი სკოლის მასწავლებელი ლაზათიანად გავჯოხე, დიასახლისს შევაფურთხე და მოვკურცხლე მინდვრად. იქ, გაშლილ მოლზე, მინდოდა თავისუფლად ამომესუნთქა, მთის წყაროსათვის შემეჩივლა ჩემი გულის ნადები, ყვავილთა სურნელებით გავკურნებულიყავ და მათის სიკეკლუცის მზერით დამეტკბო ათასის უწმინდურების მნახველი თვალი. ერთ მიყრუებულ ხევში წამოვწექ ხის ძირას, ამოვიდე თავქვეშ ხელები და ცას შევაჩერდი. მარტოობა ოცნებად შემეცვალა. გადამავიწყდა ჩემი აწმყო და გათავისწინებული ღიმილით ვიძახდი:

— ოხ, რა კარგია თავისუფლება, რა კარგია სუფთა ჰაერი, რა კარგია, როდესაც შენ თავს სხვის მონად, სხვის ხელის შემაყურებლად არა გრძნობ მეთქი.

ბუნებავ! ზეფირად მაქციე, ან ჩიტად, მერცხლად, რომ საცა მწუხარეა, ვეწვიო და ვუამბო თავისუფლების სიამე, სიცოცხლის ძლევა-მოსილება, ადამიანის სულის უკვდავება—მეთქი—ვლუღლუღებდი ჩემთვის და, მგონი, თვალთაგან, სიცოცხლის ზედმეტ ძალთაგან გამოწვეული, ნეტარების ცრემლები ჩამომდიოდა.

ამ დროს... თქაფა-თქუფით მოიჭრა ჩემთან სამი ცხენოსანი კაცი—სოფლის ჩაფრები—და... შემკოჭეს. შენ მტანჯველთ ხელი როგორ შეუბრუნდო.

ლაღი მინდვრიდან, ციხეში, მყრალსა და ბნელ ნესტიან ოთახში ამოვყავ თავი!

გამიფხიზლდი. კვლავ ვიგრძენ ჩემი დამცირებული ყოფნა. ჩემ გვერდით დავინახე ათი და ოცი ტუსაღი: კაცის მკვლელი, ჯიბგირი, მაწანწალა, ყველა ანარეკლი ცხოვრებისა.

როგორც გალიაში დამწყვდეული ვეფხვები, როგორც ხაფანგში გაბმული ტურები, ისე ბღაოდნენ და ხავოდნენ ეს ტუსაღები. თითოეულ ტაოგანს დაეკარგა ადამიანის სახე, დავიწყებოდათ ადამიანური ლაპარაკი, მოქცევა, მიხვრა, მოხვრა, შებრალება. ესენი მარტოოდენ მხეცები იყვნენ, რომელნიც შხამად ედებოდნენ ერთმანეთს და ყველა იმას, ვინც კი მათ მიეკარებოდა, ვინც მათ დაუახლოვდებოდა. ესენი იყვნენ განხორციელებული შურის-ძიება და ფეხ-ადგმული ბოროტება.

შევკრთი, შევშინდი. მუშტის ოდენად მოვიკუნტე ჩემს გამხმარ ტახტზე. მინდოდა არარაობად ვქცეულვიყავ, რომ არ დამენახა მათი სახე, მათთან ერთად არ მესუნთქა მყრალი ჰაერი, მოვშორებოდი მათ დაცინვას, მათ ლანძღვა-გინებას, მათ ბოროტებით ანთებულ თვალებს, მაგრამ ჩემთვისაც ისევე იყო დახშული, კარები, როგორც მათთვის, ჩემთვისაც ისევე ბნელოდა, როგორც მათთვის, მეც იმავე ტაფაში ვიწვოდი, როგორც ისინი. მეც მათთან ვიყავ გამწესებული!..

ტუსაღი... საზარელი სიტყვაა! თავისუფალ ადამიანს თავზარსა სცემს.

გავიბრუნე გულის სიღრმისკენ გონების თვალი, ვით ლოკოკინა ჩავძვერ ჩემ ქერქში... და... ოხ სიტკბოებავ! ვუპოვე ხსნა ჩემ დამცირებულ ყოფნასა.

მე ამ ტუსაღებისა აღარ მეშინოდა, აღარც მეზიზღებოდნენ იგინი. მე შემეზიზღა ის ცხოვრება, რომელმაც შეჰქმნა ეს ტუსაღები, მე შემძულდა ის პირობები, რომელმაც ხელი შეუწყო მათ ბოროტ მიდრეკილებას: მე მეთაკილნენ ისინი, ვინც ბოროტად ჰმართავს ერთეულის ცხოვრებას!..

მაშ ზიზღი ცხოვრების ავ-მხარესა—მეთქი! გადავწყვიტე გუნებაში და მთელი ორი-სამი წელიწადი, ვიდრე სატუსაღოს გამხმარ ტახტზე ვეგდე, გულში ვზარდე ეს ზიზღი და როდესაც გავთავისუფლდი, მე უკვე მკვდრეთით აღდგომილი განახლებული ვიყავ.

იმედი მქონდა რომ ობლად ნაზარდი ტრფობა გულისა, ობლადვე არ დაჰქნებოდა! მაგრამ... ერთხელ კიდევ ჩავვარდი განსაცდელში!..

ლუკმა პურის ძებნამ მომხარა წელში, ხალხის თვალთ-მაქცობამ გამანიორწყლა, ცხოვრების ორომტრიალმა ჩამითრია და ერის ზნე-ჩვეულებამ ამიყოლია.

ამ დროს შემიყვარდა კიდეც ერთი ქალი, და გავფრინდი ცაში. სიყვარულს პოეტები უკვდავებას ეძახიან, მაგრამ, თუ მე მკითხავთ—იგი დიდი უბედურებაა! სულის სიმშვიდის საწამლავია და ვაი იმას, ვინც მოსტყუვდება, ვინაიდან ყალბი ცხოვრება ხშირად ყალბ გრძნობას წმინდად ასაღებს...

ჩემი სატრფოც მალე გამიდიდგულდა. იგი ჩემში მეოცნებეს არ აფასებდა. დღიური ცხოვრება მერმისს ერჩივნა და ერთ მშვენიერ დღეს უფრო შეძლებულ ვაჟკაცს ამოუდგა გვერდით. მეც გზა დავულოცე, მაგრამ გული მომიკვდა, მან გადიყოლა თან ჩემი სულის სიმშვიდეც. ახლა ცარიელი შურის-ძიება და ვარ!..

ოხ, ეს ტაროსიც!.. ეს ქარი ეს საზარელი ამინდი! სწორედ ამის ბრალია, რომ სევდები ამეშალა, გამახსენდა ჩემი წარსული და აწმყო. უჰ! რა აუტანელი მდგომარეობაა?! ბარემ მოვშორდე ამ ფანჯარას, მთელი ქვეყანა სატუსაღოდ გადაქცეულა!.. რათა, რისთვის?

ოხ, მომეცით სიცოცხლე, მომეცით სულის სიმშვიდე. თქვენც იცხოვრეთ და მეც მაცხოვრეთ!...

ხა, ხა, ხა!.. ყველა ქედ-წახრილი შეშინებულნი ხართ, განა?

ჩემ ფანჯრის წინ კეტს დაყრდნობია მეჯზოვე. ცოტა მოშორებით სამი-ოთხი გოროდოვოი მხიარულად მასლაათობენ, ხელ-თოფიანი ჯარის-კაცები მოაბიჯებენ, სხვანი სად-ღა ხართ? ცივა და სახლებში მიმალულხართ? ეგ ვერაფერი ვაჟკაცობაა, თორემ თქვენ იცით!

ოხ, მზეო, მზეო!! მალე მაინც გამოანათე! სევდამა და ბოღმამ გული გამომიხრა!...

ია ეკალაძე.

პოლიტიკური წესწყობილება ევროპის სახელმწიფოებისა *)

ინგლისი და ირლანდია.

შეერთებული სამეფო ინგლისისა და ირლანდიისა კონსტიტუციონურ მონარქიას წარმოადგენს. მეფობა მემკვიდრეობითაა.

მთავრობის ყოველგვარ ძალის ფორმალური წარმომადგენელი მეფეა. მაგრამ იმის უფლებანი განსაზღვრულია: 1) მნიშვნელოვან კანონების გამოსაცემად საჭიროა თანხმობა პარლამენტისა (ეს წესი მეთოთხმეტე საუკუნიდან არის შემოღებული); 2) მართვა-გამგეობაში საჭიროა დახმარება მინისტრებისა, რომელთაც მეთვრამეტე საუკუნიდან თითქმის მარტო პარლამენტი ნიშნავს, და 3) ესა თუ ის იურიდიული საკითხები უნდა გადასწყვიტოს დამოუკიდებელმა სასამართლომ. ნამდვილად პარლამენტი კანონმდებლობის გარდა მონაწილეობას იღებს აგრეთვე საადმინისტრაციო და სასამართლოს საქმეებშიაც: ქვედა პალატა ბეჯითად ადევნებს თვალყურს აღმასრულებელ ორგანოებსა და, ესრედ წოდებულ კერძო, ბილლებს, ზედა-პალატა კი—ერის უმაღლეს სასამართლოს. სასამართლოს უმაღლეს დაწესებულებებს თითქმის ისეთივე უფლებანი აქვთ, როგორიც რომაელთა პრეტორიებს ჰქონდათ, რადგან იმათ დადგენილებებს თითქმის კანონის ძალა აქვთ.

ნამდვილად რომ გავსინჯოთ, ინგლისს არა აქვს ისეთი სისტემატიურად შემუშავებული ძირითადი კანონები, როგორიც მიღებულია ევროპის სხვა სახელმწიფოებში. ინგლისის კონსტიტუცია იმ აზრით, რა აზრითაც იხმარება ეს სახელმწიფოს მართლიერებაში, არის მხოლოდ ნაწილი ინგლისში ჩვეულების ძალით მომქმედ წესებისა. (Common Law). ამის გამო იურიდიულად თანასწორი ძალა აქვთ იმ სხვადასხვა ბრძანებებსა

*) კეჩეკი-შაპოვალოვის თხზულებიდან.

ლონდონი, 17 მაისი. სერ ჩარლზ დილკი, გამოჩენილი მოღვაწე, „დეილი ნიუს" წარმომადგენელს ეუბნებოდა, რომ არ შეუძლია არ გამოსთქვას თავისი მაღალი აზრი იაპონელთა მხნეობის შესახებ, მაგრამ ამასთანავე უნდა აღნიშნოს რუსების გაბედულობაც, რადგანაც დიდ და ძნელ მოგზაურობის შემდეგ გაბედეს იაპონიის ნაპირებთან გასვლაო. მთელი ქვეყანა დააფასებს მათ გაბედულობასო.

ვაშინგტონი, 17 მაისი. ამერიკის ელჩი შანჰაიდან იუწყება, რომ დობროვოლნი ფლოტის კრეისერი „სმოლენსკი" ვუზუნში სდგასო.

ტოკიო, 16 მაისი. აქ იმ აზრს ადგანან, რომ როჟესტვენსკის საომარმა წესმა ხელი შეუწყო მის დამარცხებასო. როჟესტვენსკიმ ჯავშნიანი გემები აღმოსავლეთის მხრივ გამწკრივა, ხოლო კრეისერები—დასავლეთისა. შუაში მოათავსა მომეტებული ნაწილი მეორე ხარისხოვანი გემებისა. იაპონიის ცეცხლმა ამ შუა ნაწილს მალე დაუბნია გზა-კვალი, რის გამოც სანაპირო გემებიც (ფლანგები) დაფოლდაო. რუსეთის საუკეთესო გემები მალე გამოასალმეს წუთი-სოფელს. ჰფიქრობენ, რომ დაღუპულ რუსეთის გემებს ტორპედები დააჯახესო. სასებოში 2220 ტყვე მიიყვანეს, მათ შორის კრეისერ „ადმირალ ნახიმოვის" უფროსი. როგორც ტყვეები იუწყებიან, ვლადივოსტოკის ესკადრამ ბრძანება მიიღო გაშლილ ზღვაში გამოსვლისა. გამოვიდა კიდეც, მაგრამ მალევე დაბრუნდა უკან.

პარიზი, 17 მაისი. რუსეთის დამარცხების ამბავმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. შიშობენ, გამარჯვებით გათამამებულმა იაპონიამ ინდო-ჩინეთს არ დაჰკრას თვალიო. იაპონელები ნამდვილს ცნობებს არ ამჟღავნებენ. როგორ შეიძლება, რომ ტოგოს ესკადრა საგრძნობლად არ დაზიანებულიყოო. საფრანგეთის გაზეთები ქებით იხსენიებენ რუსების სიმამაცეს, თუმცა ზავის ჩამოგდება აუცილებლად მიაჩნიათ. გერმანული ცნობები გვარწმუნებენ, რომ ბალტიის ესკადრა, რომელმაც ბრძოლას თავი დააღწია და ვლადივოსტოკისკენ გაეშურა, კამიმურას ესკადრას შეხვდა და ახალი ბრძოლა ჰქონდათო. ვენის პოლიტიკური წრეები იმედოვნებენ, ზავი მალე ჩამოვარდებაო.

(ღამის დეპეშა იხილე მე-4-ე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ადმ. ტოგოსი და როჟესტვენსკის ესკადრების ბრძოლა. ქიოშიმას მახლობლად მომხდარი საშინელი ბრძოლა თანდათან ირკვევა. ყოველ-ფრიდან სჩანს, რომ ამისთანა მედგარი ბრძოლა ჯერ არსად და არაოდეს არა ყოფილა.

როგორც დეპეშებიდანა სჩანს, ადმირალ როჟესტვენსკის თავის ესკადრის ერთი ნაწილი ვუზუნთან დაუტოვებია, თვითონ კი 26 საუკეთესო დიდი გემი ამოურჩევია და კორეისაკენ წასულა. როჟესტვენსკის არა სცოდნია, სად იყო ტოგოს ესკადრა. იმის აზრით, ადმირალი ტოგო პესკადორის კუნძულებთან უნდა ყოფილიყო და ამიტომ ამ ადგილსაც მოერიდა და შორიდან მოუარა. ადმირალი ტოგო კი თავის საუკეთესო გემებით ბროუნინის სრუტეში, ცუსიმას კუნძულსა და კორეის შუა იდგა. როჟესტვენსკიმ ესკადრა ორ კოლონად გაჰყო: მარჯვნივ, იაპონიისკენ იდგნენ ჯავშნოსნები „ბოროდინო", „ორიოლ"-ი, „სუვოროვ"-ი (როჟესტვენსკი ამ გემზე იყო), „ალექსანდრ III", „ოსლიაბია", „სისოი ველიკი", „ნავარინ"-ი, „ნიკოლაი I", „უშაკოვ"-ი, „სენიავინ"-ი და „აპრაქსინ"-ი. მარცხნივ, ცუსიმასკენ (ტოგოსკენ) იდგნენ კრეისერები: „ნახიმოვ"-ი, „ოლეგ"-ი, „ავრორა", „დიმიტრი დონსკოი", „ვლადიმირ მონომახ"-ი, „სვეტლანა", „ჟემჩუგ"-ი, „იზუმრუდ"-ი და „ალმაზ"-ი. ესკადრას მიუძღოდა შიკრიკი გემი „ალმაზ"-ი; მას მისდევდა „ბოროდინო", „ორიოლ"-ი და სხ.

ორ კოლონად დარაზმული როჟესტვენსკი ფრთხილად მიუახლოვდა სრუტეს. ტოგო მეორე სრუტეში იცდიდა. შუადღისას გამოიდარა და ტოგოც დაიძრა. ტოგოს ესკადრამ ცუსიმას ჩრდილოეთიდან მოუხვია და $4^1/_2$ საათზე მიესია რუსებს. ტოგომ ერთსა და იმავე დროს მედგარი იერიში მიიტანა როჟესტვენსკის ცენტრზე და ორივე ფრთებზე და საშინელი სროლა აუტეხა კრეისერებს. როჟესტვენსკის ესკადრა აირია, შედრკა. იაპონელები უფრო მიაწვნენ და რუსები იაპონიის ნაპირებისაკენ მიჰქლიტეს. იქ მიმალული იდგა ტოგოს მეორე ესკადრა, რომელმაც მეორე მხრიდან მიიტანა იერიში და რუსები შუაში მოიმწყვდია. ამავე დროს ტოგოს ურიცხვი ნაღმოსნები რუსებს მოსვენებას არ აძლევდნენ და ზედი-ზედ მიჰქონდათ იერიში. დაღამებამდის იაპონელებმა ჩასძირეს ოთხი გემი, მათ შორის, საუკეთესო ჯავშნიანი „ბოროდინო" და კრეისერი „ვლადიმირ მონომახ"-ი. ღამე რუსეთის ესკადრას ნაღმოსნები მიესივნენ. ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის გამოუდგა, მეორე დღეს, 15 მაისს, წამოეწია, ხელმეორედ შეებრძოლა, როჟესტვენსკის ორი გემი კიდევ ჩაუძირა, ოთხი გემი დაატყვევა და დანარჩენები ძლიერ დაზიანა. ამჟამად იაპონიის გემები ისევ სდევნიან რუსეთის გადარჩენილ გემებს.

იაპონელებს ისეთი მცირე ზარალი მოსვლიათ, რომ თვითონვე გაჰკვირვებიათ.

ბერლინში ცნობა მისულა, ადმირალი კამიმურა ხელმეორედ წამოეწია როჟესტვენსკის და შეებრძოლაო.

უმთავრესი მიზეზი რუსების დამარცხებისა, როგორც ტოკიოდან იუწყებიან, თვითონ როჟესტვენსკი ყოფილა. ჯერ ერთი, ბრძოლის დროს არ შეიძლება ესკადრის დაყოფა ორ და სამ კოლონად. ესკადრა უეჭველად კილვატერის რიგით, ე. ი. ერთ წრეზე უნდა მიდიოდეს. როჟესტვენსკი შესცდა, რომ გემები ორ კოლონად წაიყვანა, მაგრამ ამაზე უფრო დიდი შეცდომა ის იყო, რომ ჯავშნოსნები მარჯვნივ, იაპონიისკენ დააყენა და კრეისერები კი მარცხნივ ტოგოს ესკადრისკენ. საქმე იმაშია, რომ როჟესტვენსკის უმთავრესად ჯავშნოსნებისა და დიდ ყალიბიან ზარბაზნების იმედი ჰქონდა. ბრძოლის დროს კი რუსის ადმირალმა თავის ჯავშნოსნებსა და ტოგოს ესკადრას შუაში სუსტი კრეისერები ჩაუყენა, რასაც ის მოჰყვა, რომ, სანამ ჯავშნოსნები ჩაერეოდნენ ბრძოლაში, ტოგომ კრეისერები არივ-დარია და ფლანგებიც დაუმარცხა. ეს იყო როჟესტვენსკის მთავარი და დიდი შეცდომა (რ. ვ.).

როჟესტვენსკის ესკადრის ზარალი. როჟესტვენსკის ესკადრას უმაგალითო, უშველებელი ზარალი მოსვლია. ამ ესკადრის სულსა და გულს შეადგენდა ოთხი ახალი (1901 და 1902 წლებში აშენებული) და უზარმაზარი ჯავშნოსანი: „სუვოროვ"-ი (როჟესტვენსკის გემი), „იმპერატორ ალექსანდრ III", „ბოროდინო" და „ორიოლ". ამ ოთხ გემიდან „სუვოროვ"-ი და „ბოროდინო" დაიღუპნენ, „ორიოლ"-ი იაპონელებმა დაატყვევეს და „ალექსანდრ III"-ეც ძალიან დაზიანებულა და არ იციან, სად წავიდა ან რა მოუვიდა. თითო გემს 13516 ტონნა წყალწყვა ჰქონდა და შეიარაღებული იყო 40 დიდ და საშუალო ყალიბიან ზარბაზნით. ამ გემებს მოსდევდნენ ჯავშნოსნები „ოსლიაბა" (12,674 ტონიანი), „სისოი ველიკი" (10,400 ტონმა) და „ნავარინ"-ი (10,206 ტონ.). სამ გემიდან „ოსლიაბა" და „სისოი ველიკი" დაიღუპნენ, „ნავარინ"-ის ბედი კი არ იციან. კრეისერებიდან დაიღუპნენ „ვლადიმირ მონომახ"-ი (5,754 ტონ.) და „ურალ"-ი ძლიერ დაზიანდნენ: ტრანსპორტი „კორეია" (შანჰაის მივიდა), კრეისერი „ალმაზ"-ი (ვლადივოსტოკს მივიდა), ჯავშნოსანი „ალექსანდრ III"-ე და ტრანსპორტი „კამჩატკა" (არ იციან სად არის) დასასრულ აი პატარა ცხრილი დაღუპულ, დაზიანებულ და დატყვევებულ გემებისა:

დაიღუპნენ:

ჯავშნოსნები:	წყალ-წყვა
„სუვოროვი". — —	13,516 ტონნა
„ბოროდინო" — —	13,516 ,,
„ოსლიაბია" — —	12,674 ,,
„სისოი ველიკი" — —	10,400 ,,
სულ	50,106 ტონ.
კრეისერები:	
„ვლადიმირ მონომახ"-ი —	5,754 ტონნა.
„ურალ"-ი — —	3000 ,,
სულ	8754 ტონნა.
დაღუპულ გემთა წყალწყვა	58,860. ,,

დატყვევებულ იქმნენ:

ჯავშნოსნები:	
„ორიოლ"-ი — —	13,516. ,,
„ნიკოლაი I" — —	9,672 ,,
„სინიავინ"-ი — —	4,960 ,,
„აპრაქსინ"-ი — —	4,126 ,,
სულ	32,274

დაღუპულ და დატყვევებულ იქმნა სულ 8 ჯავშნოსანი და 2 კრეისერი; მათი საერთო წყალწყვა—91,134 ტონ. როჟესტვენსკის 11 ჯავშნოსანი იწონიდა სულ 120,228 ტონნას; დააკლდა 82,380 ტონნა.

გარდა ამისა, ძალიან დაზიანდნენ ჯავშნოსანი „ალექსანდრ III" (13,516 ტონ.), კრეისერი „ალმაზ"-ი, ტრანსპორტები „კამჩატკა", „კორეა" და სხ.

მებრძოლ გემებიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ პატარა შიკრიკ-გემის „ალმაზ"-ის ბედი იციან, დანარჩენი გემები სად წავიდნენ, ან რა მოუვიდათ—არ იციან.

იაპონელებმა ჯერ-ჯერობით დაატყვევეს 2220 რუსი მეზღვაური, მათ შორის, „ადმირალ ნახიმოვ"-ის უფროსი (რ.).

მომავალ ბრძოლის მოლოდინში. „რუს"-ის საკუთარი კორესპონდენტი ფრიად საყურადღებო ამბავს იუწყება გუნჟულინიდან: ეს არის ეხლა სამხრეთიდან თავის საცხოვრო მატარებლით კუროპატკინი მოვიდა. სადგურზე აუარებელი გენერალიტეტი—კუროპატკინის ამალა ირევა. ყველანი მშვენივრად, კოხტად არიან გამოწყობილნი. იმავე დროს ხარბინიდან ჩამოვიდა მეორე მატარებელი, რომლითაც მოვიდნენ კნეინა რეისი, წითელი ჯვრის ნიშნით; საკუთარ მატარებლით ჩამოვიდნენ კუროპატკინის შტაბის უფროსად ნამყოფი, გენერალი სახაროვი და იმის ახალგაზდა ცოლი, რომელიც სათნოების დად ჩაეწერა, და სხვანი. ამ სადგურზე, რომელიც იაპონელთა ბანაკიდან მხოლოდ რამდენიმე ვერსით არის დაშორებული, ისეთი მორთულ-მოკაზმული და საუცხოვო ტანისამოსში გამოწყობილი საზოგადოება ირევა, რომლის მაგვარს პეტერბურგის სადგურზედაც ვერ ნახავთ. ყველანი მხიარულად, კარგ გუნებაზე არიან, იცინიან, მხიარულობენ, კისკისებენ და ისეთ ამბავში არიან, რომ გავიწყდებათ, თუ სად იმყოფებით, რა ამბების შემდეგ ხდება ეს ქეიფი და რა მოგველის ხვალ (რუს.).

ახალი ამბავი

სომეხთა და თათართა წარმომადგენლებმა საბჭოს დარბაზში შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავეს: ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერელნი, მაჰმადიანთა, ქართველთა, რუსთა და სომეხთა წარმომადგენელნი შევიკრიბენით ქალაქის თავის თავმჯდომარეობით 17 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში. დიდად შეწუხებულნი ნახიჩევანსა და მისს მაზრაში მომხდარ ამბებით, მხურვალე თანაგრძნობას ვუცხადებთ ამ საზიზღრობის მსხვერპლთ. აგრეთვე წმინდა მოვალეობად ვთვლით ვაღიაროთ, რომ მაჰმადიანთა და სომეხთა შორის მტრობის არავითარი მიზეზი არ არსებობს. გულწრფელად გვსურს, რომ **ბოროტ-განზრახვით გავრცელებულ ხმებს მკვიდრთა არ დაუჯერონ** და შეერთდნენ მშვიდობიან კულტურულ მუშაობის ნიადაგზე და სამშობლოს სასარგებლოდ. ამისთანა შეერთებისათვის საჭიროდ ვთვლით ავირჩიოთ განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ ხუთ-ხუთი წარმომადგენელი ყველა ეროვნებისა. ამ კომისიის მოვალეობა იქმნება—ყველა ზომების მიღება, რაც კი ზნეობრივს ზეგავლენას იქონიებს ხალხზე, ნახიჩევანში მომხდარ სამწუხარო ამბების მზგავს მოვლენის ასაცილებლად. ამ კომისიამვე უნდა დაამშვიდოს მაჰმადიანნი და სომეხნი ტფილისში. ხელი უწერიათ ასზე მეტ კაცს.

✦ **ქალაქის მოურავმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა** არქიმანდრიტ ტომეგას **ნახიჩევანში**: თქვენი დეპეშები გადავეცი ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის, რომელმაც დამამშვიდა, საკმაო ჯარს გავგზავნით და ენერგიულ ზომებს მივიღებთ უაზრო მტრობის მოსასპობლადაო. ნახიჩეველი ხანი გვატყობინებს: საკმაოდ დაამშვიდეს ხალხი შეიხ-ულ-ისლამმა და სომხის სამღვდელოებამაო. საბჭომ 5000 მანათი გადასდო და ხელის მოწერის გამართვას შუამდგომლობს დახმარების აღმოსაჩენად. ველით თქვენგან სანუგეშო ამბებს".

✦ **ქალაქის მოურავმა ზემო-აკულისიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:** „ზემო-აკულისის სომხის საზოგადოება გევედრებათ, თქვენის ღვთის გულისთვის, ნამესტნიკთან გვიშუამდგომლეთ, რომ შემწეობის აღმოჩენა დააჩქაროს, თორემ მეზობელ სოფლების თათრებისგან დიდი უბედურება მოგველის. უკვე განადგურებულია სოფლები გლა, არონი და მისიურბაზი"

✦ ამას წინად ყველა გაზეთებში იყო დაბეჭდილი, თავ. ნაკაშიძეს მკვლელი დაიჭირეს ხატისოვის ქარხანაშიო. გაზ. „ბაქოში" **დაბეჭდილია წერილი ამ ქარხნის პატრონისა:** ჩვენს ქარხანაში გასულ კვირას დაატუსაღეს, არ ვიცით რადა, ერთი მუშა, ტომით ბერძენი. მაგრამ ის მკვლელი არ უნდა იყოს, რადგან 11 მაისს მთელი დღე ქარხანაში მუშაობდაო.

✦ როგორც გვატყობინებენ, სოფ. ფცაში მოკლულ თ-დ ლევან **ამირეჯიბის მკვლელი შეუპყრიათ.** მკვლელს ზედ აღმოაჩნდა ამირეჯიბის რევოლვერი. იგი აღმოჩნდა სოფ. ატოცის მცხოვრები გვარად გლახიშვილი.

✦ როგორც სურამიდან გვატყობინებენ, ორშაბათს, 15 მაისს, შუადღისას, ურიების უბანში ექვსი შეიარაღებული კაცი **თავს დასცემია ებრაელ ვაჭრებს**, ხუთასი თუმანი გაუტაცნიათ და წასულან. მათი ვინაობა არ იციან.

✦ ვერაზე, დუშეთის ქუჩაზე, მთელმა უბნელებმა ერთ **მეწვრილმანეს ბოიკოტი გამოუცხადეს.** მიზეზად ასახელებენ შემდეგს: თურმე მეწვრილმანეს ძმა შენობაზე კალატოზებს დაწესებულს დროზე მეტს ხანს ამუშავებდა, რის გამოც სხვა მუშებმა ხელი აიღებინეს. ამაზე მეწვრილმანე დაემუქრა, რაკი ხალხს მუშაობას ნებას არ აძლევთ, პოლიციას შევატყობინებო. ამ სიტყვის გამო ხალხმა მასთან კავშირი შესწყვიტა.

✦ ბ-ნმა ი. კ. ზუბალაშვილმა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს გამოსცეს **ტფილისში რუსულ ენაზე დიდი ყოველ დღიური** საზოგადოებრივი, სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი უწინასწარ-ცენზუროდ ყოველ-კვირეულის სურათებიანის დამატებით. გაზეთს სახელად ერქმევა „ზაკავკაზიე".

✦ „ივერიის" გამომცემელმა თავ. პავლე ი. თუმანიშვილმა აღძრა აგრედვე სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, ნება მიეცეს **ყოველ-დღიურ გაზეთის გამოცემისა რუსულ ენაზე** სრულის პროგრამით. გაზეთს სახელად ერქმევა „ვოზროჟდენიე".

✦ ტფილისის მცხოვრები ჯალალ-მამედ-ყული-ზადე შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, ნება მიეცეს ადერბეიჯანურ ენაზე ტფილისში **გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი „ნოვრუზი"** (ახალი დღე).

✦ როგორც „ჩერ. ვეს."-ი გადმოგვცემს, ბათუმში 14 მაისს **უბნის ზედამხედველ პ. პაცანისთვის ორჯელ უსროლიათ ქუჩაში რევოლვერი**, მაგრამ ვერ მოუხვედრებიათ. მსროლელნი გაქცეულან და მიმალულან.

✦ სოფ. ნაბახტევიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, კვირას, 15 მაისს, დილით ჩვენ სოფელთან **ჩარჩებს**, რომელნიც ჯონჯოლის ყვავილის სასყიდლად მიდიოდნენ, **გზაზე დაუხვდა ექვსი შეიარაღებული კაცი**, წაართვეს ორმოცდა-ათი თუმანი და რამდენიმე მათგანი დასჭრესო.

✦ „კავკაზ"-ის სიტყვით, სამხედრო სამინისტროს თავის მხრივ ნება დაურთავს **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, თავ. დ. ზ. მელიქიშვილისთვის**, თავის მამულში, სოფ. პატარა ურუთიდან სადგურ სადახლომდე ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანოს.

✦ ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსმა სა ხალხო მატარებლებით სადგურ ბაკურიანიდან ბორჯომ პარკამდე და სადგურ ტადლისამდე რძის ნაწარმოების გადატანის ნება დართო.

და გრამოტებს, რომელნიც ინგლისის სახელმწიფოს ძირითად კანონებად ითვლებიან.

ინგლისის კონსტიტუცია დამყარებულია შემდეგ უმთავრეს კანონებზე: 1) მეფე ჰენრიხ I-ის მიერ გამოცემული გრამოტა, 2) Maqna Charta (თავისუფლებათა დიდი ქარტია) 1215 წ., 3) Petition of rights (პეტიცია უფლებათა შესახებ) 1627 წლისა, რომელიც იცავს ხალხის უფლებებს მეფეთა თვითნებობისგან, 4) Habeas Corpus Act 1679 წლისა, რომელიც პირად თავისუფლებას იცავს, 5) Deklaration of rights (უფლებათა დეკლარაცია) 22 იანვრ. 1689 წ., რომლის ძალით არც ერთი ისეთი კანონი არ შედის ძალაში, რომელიც პარლამენტისგან არ არის დამტკიცებული, 6) კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ Act of settlement 1701 და 1705 წ.წ., 7) კავშირის აქტი ინგლისსა და შოტლანდიას შორის 1707 წლისა და კავშირის აქტი ინგლისსა და ირლანდიას შორის 1800 წ., 8) კანონი კათოლიკეთა ემანსიპაციისა 1829 წ. და 9) საარჩევნო კანონები 1832, 1867, 1868 და 1885 წ.წ. შესახებ ქვედა-პალატის შედგენისა და წევრთა არჩევისა.

მეფე ხელუხლებელია. მას ეკუთვნის უმაღლესი აღმასრულებელი ძალა, უფლება ომის გამოცხადებისა, ზავის ჩამოგდებისა, კავშირების შეკვრისა, პატიებისა, კანონების მიღებისა და უარყოფისა, წოდებისა და ორდენების მოცემისა, უმაღლესი თვალ-ყურის დევნა ეკლესიაზე და სხ.

მეფის ძალა შეზღუდულია კანონებით, ივითონ კი არავის წინაშე პასუხს არ აგებს („შეუძლებელია, რომ მეფე მართალი არ იყოს".)

მეფის ყველა მოქმედება ისე უნდა აიხსნას, როგორც კანონიერი და ამასთან იგულისხმება, რომ მეფის განზრახვა უკანონო არ იქნებაო. ამის გამო კანონის დარღვევას მეფეს კი არ აბრალებენ, არამედ იმის მრჩევლებს, რის გამოც ეს მრჩევლები და ყველა ის, ვინც კანონის დარღვევას ხელი შეუწყო, შეიძლება პასუხისმგებლობაში იქმნენ მიცემულნი. დამნაშავეს ნება არა აქვს თავის საქციელის გასამართლებლად ის საბუთი წამოაყენოს, ვითომ ესა და ეს საქციელი მეფის ბრძანებით ჩაიდინეო. ეს ორი ძირითადი კანონი სრულიად აქარწყლებენ მეფის ისეთ განკარგულებას, რომელნიც კანონს არ შეეფერება.

მთავრობის ძალ-მომრეობისგან ყველას მხნედ იცავს კანონი პირად ხელუხლებლობის შესახებ (Nabeas Corpus), უფლება მოხელეთა მოქმედების განსაჩივრებისა სასამართლოში, უფლება თხოვნით მიმართვისა პარლამენტში და ბეჭდვის თავისუფლება.

მეფეს ჯამაგირს (Civil lizt) პარლამენტი უნიშნავს.

ინგლისის პარლამენტი დიდად განსხვავდება სხვაგვარ სახალხო წარმომადგენლობისაგან. იგი შესდგება მეფისაგან, ლორდთა ანუ პერთა პალატისაგან (ზედა-პალატა) და საზოგადოებათა პალატისაგან (ქვედა-პალატა). ყოველი კანონი ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როცა მას ორივე პალატა მიიღებს და მეფეც დაამტკიცებს. პარლამენტის კრებები განუწყვეტელი არ არის. პარლამენტის წევრებს 7 წლით ირჩევენ. ყოველ ახალ სესსის პირველი კრება იხსნება მეფის სიტყვით, რომელსაც ან თვითონ მეფე კითხულობს, ან მისი კომისარები. ამის შემდეგ პალატა მეფე ცალკე ადრესით აძლევს პასუხს.

ქვედა-პალატაში ხმის უფლება ეძლევა მხოლოდ იქ მყოფ დეპუტატს, ზედა-პალატის წევრებს კი ნება აქვთ თავის ხმა სხვას გადასცენ. რადგან ფულის დახარჯვისა და კრედიტის მიცემის უფლება მხოლოდ ქვედა-პალატას აქვს, ამიტომ ყოველგვარი ფინანსიური პროექტიც ყველაზე წინ ქვედა-პალატაში უნდა იქმნას შეტანილი.

ზედა-პალატა (ლორდთა პალატა) შესდგება მეფის საგვარეულოს სრულწლოვან მთავრებისაგან, სასულიერო ლორდებისაგან—ორივე არქიეპისკოპოსისაგან—და საერო ლორდებისაგან, რომლებსაც სამეფოს პერებსაც უწოდებენ. სრულწლოვან პერებს შთამომავლობითი უფლება აქვთ 21 წლის შესრულების შემდეგ ზედა-პალატაში მიიღონ მონაწილეობა. გარდა ამისა, ამავე პალატაში მონაწილეობას იღებენ: შოტლანდიის დიდკაცთა 16 წარმომადგენელი, რომელნიც 7 წლით ირჩევიან და ირლანდიის აზნაურთა 28 წარმომადგენელი, რომელნიც სიკვდილამდის არიან არჩეულნი. ზედა-პალატას უფლება აქვს საქმის გადაწყვეტისა იმ შემთხვევაშიაც კი, თუ კრებას მხოლოდ სამი კაცი დაესწრო, მათ შორის ლორდ კანცლერიც.

ქვედა-პალატა შესდგება საგრაფოებისა, ქალაქებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებისაგან. სოფლად საარჩევნო უფლება აქვს სახლის მესაკუთრეს, ქალაქებში კი ყველას, ვინც სადგომში წლიურად 10 გირვანქა სტერლინგს (92—93 მან.) იხდის.

საარჩევნო უფლება არა აქვს ყველა უცხოელს, პერს, მთავრობის მრავალ მოხელეს და იმ პირს, რომელმაც წლის განმავლობაში საზოგადოებისაგან დახმარება მიიღო. პარლამენტის წევრებად არ აირჩევიან: მოსამართლეები, ჯამაგირზე მოსამსახურენი, ანგლიკანთა, კათოლიკეთა და შოტლანდიის ეკლესიების სამღვდელოება, ბოროტმოქმედნი და ზოგიერთა პირნი, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებიან. დეპუტატებს ფარულ კენჭის ყრით ირჩევენ. დეპუტატები ჯამაგირს არ იღებენ და ამომრჩეველთა წინაშე არაფრით ვალდებულნი არ არიან.

ქვედა-პალატას დაწერილი წესდება არა აქვს. პალატის გადაწყვეტილება კანონიერია, თუ კრებას 40 წევრი დაესწრო.

კანონის ძალით პარლამენტის კრებები საჯაროდ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ჩვეულებად არის შემოღებული, რომ კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ გაზეთების წარმომადგენელი და ის პირნი, ვისაც შესაფერი ბილეთი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს უდიდესი ძალა აქვს, ინგლისის სახელმწიფო მართვა-გამგეობა დაწერილ კანონით ნამდვილი მონარქიულია.

ადმინისტრაციის თავად მეფე ითვლება. ის შემოქმედია ყოველნაირ მართლმსაჯულებისა, უპირატესობისა და უფლებებისა. ისვე ითვლება ეკლესიის მეთაურად. ომი და ზავი და ყოველგვარი გარეშე მოლაპარაკება და ხელშეკრულება განსაკუთრებით მეფეს ეკუთვნის, მხოლოდ, რასაკვირველია, იმდენად, რამდენადაც იმას ამ საქმეებისათვის ერის მხრივ ფულით დახმარება არ სჭირია. მეფე სახელმწიფო ადგილების უმეტესობასაც არიგებს, მაგრამ არც მათი უფლებების შეზღუდვა შეუძლიან და არც გადაყენება. მინისტრებსაც მეფე ნიშნავს, ისინი მოვალენი არიან წევრებად იყვნენ პარლამენტისა, რომლის წინაშე პასუხს აგებენ. მინისტრთა კაბინეტს შეადგენენ: ხაზინის პირველი ლორდი, ე. ი. ფინანსთა მინისტრი; ლორდ-კანცლერი; საიდუმლო საბჭოს პრეზიდენტი; სტატს სეკრეტრები შინაგან საქმეთა, უცხოეთის საქმეთა, სამხედროსი, ინდოეთისა, კოლონიებისა და მიწათ-მოქმედებისა; ირლანდიის ლორდ-კანცლერი; ირლანდიის საქმეთა საგენერალო სეკრეტარი; საზღვაო და სხვა მინისტრები.

ინგლისის სახელმწიფო მართვა-გამგეობა საზოგადოდ ისეა მოწყობილი, რომ ძალმომრეობა და თვითნებობა მთავრობის მხრივ შეუძლებელია. მართვა-გამგეობის საქმე ლიბერალურ სამინისტროს ექნება ხელში თუ კონსერვატიულს—სულ ერთია, კერძო კაცი ყოველთვის იმას გრძნობს, რომ ის მხოლოდ კანონს ემორჩილება და სხვა არავის.

ავსტრო-უნგრეთი

ავსტრიის პოლიტიკური წეს-წყობილება დამყარებულია 1860 წ. 20 ოქტომბრის დიპლომზე, სახელმწიფოს ძირითად ქვეს კანონზე 1867 წ. 21 დეკ., ადგილობრივ დადგენილებებზე და წესდებებზე სეიმების შესახებ 1861 წ. 26 თებერ. და 1870 წლის 2 აპრილის საარჩევნო კანონზე.

იმპერიის ორივე ნაწილი სახელმწიფო წესწყობილება წარმომადგენლობითი კონსტიტუციონურია.

ავსტრიაში წარმომადგენლობის ორი საკრებულოა: საიმპერიო რჩევა ანუ რეიხსრატი და საერობო სეიმები ანუ ლანდტაგები. ორივე დაწესებულებას სათავეში უდგა იმპერატორი, რომელიც საკანონმდებლო უფლებას აძლევს აგრეთვე რეიხსრატსაც იმ შემთხვევაში, როცა საქმე მთელ სახელმწიფოს, ცისლეიტანიას ეხება, და ლანდტაგებსაც, როცა საქმე მხოლოდ ადგილობრივ ინტერესებს შეეხება.

რეიხსრატი შესდგება დიდკაცთა პალატისაგან და დეპუტატთა პალატისაგან.

დიდკაცთა პალატაში მონაწილეობას იღებენ: იმპერატორის საგვარეულოს 13 სრულ-წლოვანი მთავარი, 53 შთამომავლობითი წევრი, რომელნიც უძველეს და კეთილშობილ გვარებიდან აირჩევიან და რომელთაც დიდი ადგილ-მამული აქვთ, 10 არქიეპისკოპოსი, 7 ეპისკოპოსი და 105 იმპერატორისაგან დანიშნული წევრი, რომელთაც განსაკუთრებულ მოღვაწეობისთვის იმპერატორი სიკვდილამდის აძლევს წევრობას.

1673 წ. 2 აპრილს კანონით, დეპუტატთა პალატა შესდგება 353 წევრისგან. დეპუტატებს ირჩევენ 6 წლით ოთხ საარჩევნო კლასთა შორის: მდიდარ მემამულეებისგან, ან—როგორც დალმატიაშია—იმათგან, ვინც ყველაზე მეტ გადასახადს იხდის, ქალაქებისგან, ვაჭართა და მრეწველთაგან და სოფლის საზოგადოებისგან. პირველი, მეორე და მესამე ჯგუფი დეპუტატებს პირდაპირის კენჭის ყრით ირჩევენ, მეოთხე კი—არაპირდაპირისა.

რეიხსრატი ყოველ წელს უნდა იქმნას მოწვეული. ლანდტაგებში მონაწილეობას იღებენ: არქიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, უნივერსიტეტთა რექტორნი და წარმომადგენელნი (6 წლის ვადით) მამულის მქონე აზნაურებისა, ქალაქებისა, ბაზრებისა და სამრეწველო პუნქტებიდან, სავაჭრო და სახელოსნო ჰამქრები და სოფლის საზოგადოებები.

უნგრეთს ორი საწარმომადგენლო დაწესებულება აქვს: ჰუნგრეთის რეიხსტაგი და ხორვატთა და სლოვაკთა სეიმი (ლანდტაგი).

რეიხსტაგს საკანონმდებლო უფლება აქვს და ორ პალატისგან შესდგება: ზედა ანუ წარჩინებულთა პალტა და ქვედა ანუ დეპუტატთა პალატა.

1885 წლის კანონით, ზედა-პალატაში მონაწილეობას იღებენ: მეფის საგვარეულოს სრული წლოვანნი მთავარნი, 12 სახელმწიფოს დიდი მოხელე, კათოლიკეთა და მართლ-მადიდებელ ეკლესიების არქიეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პროტესტანტთა ორივე სარწმუნოების ოთხი უფროსი სუპერინტენდანტი და კურატორი, უნიტართა ეკლესიის წარმომადგენელი, ებრაელთა წარმომადგენლები (12 კაცი), რომლებსაც მთავრობა ნიშნავს, ფიუმის გუბერნატორი, ჰუნგრეთის ყველა სრულ-წლოვანი თავადი, გრაფი, ბარონი, რომელნიც შთამომავლობით მაგნატის სახელს ატარებენ და ყოველ-წლივ იხდიან პირდაპირ გადასახადს არა ნაკლებ 3.000 ფლორინისა, 50 სიკვდილამდე ამორჩეული წევრი და ხორვატთა და სლოვაკთა სეიმის 3 დეპუტატი.

ქვედა-პალატა შესდგება კომიტეტებისა, თავისუფალ ოლქებისა და ქალაქების დეპუტატებისაგან.

ჰუნგრეთში საარჩევნო წესი პირდაპირია; დეპუტატებს ხუთის წლით ირჩევენ.

რეიხსტაგი ყოველ წლივ უნდა იქმნას მოწვეული.

მეფე, მინისტრთა დახმარებით, მართავს სახელმწიფოს; მინისტრები პასუხის-მგებელნი არიან რეიხსტაგის წინაშე.

✦ ხელოსანთა საურთიერთო დამხმარებელმა **კასამ დაიწყო მოქმედება.** ჯერ-ჯერობით ღარიბ ხელოსნებს დახმარება 365 მანათით აღმოუჩინა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა **დაამტკიცა წესდება ხელოსანთა სამარხი კასისა.**

✦ სახელოსნო სასწავლებელში **სწავლა 16 მაისს დასრულდა.** სწავლა დაამთავრა ათმა კაცმა.

✦ ქალთა პირველ გიმნაზიაში მეცხრე **საპედაგოგო კლასი დაამთავრა 67 ქალმა.** მათ შორის შვიდმა ქართველმა: მ. შალიბოვმა, ე. ამბრიევმა, ღ. მაისურაძემ, ე. ბაქრაძემ, ე. გაბაშვილმა, ნ. ლომაურმა და თ. ციციშვილმა.

✦ დღეს, 18 მაისს, ტფილისის **სახელოსნო გამგეობაში დანიშნულია კრება** წყლისაყვანების და ლამფების მაღაზიების პატრონებისა. კრებამ უნდა შეიმუშაოს შეგირდების მდგომარეობის პირობები.

✦ პარასკევს, 20 მაისს, **დანიშნულია კრება ტფილისის ტეხნიკურ სასწავლებელის გამგეობისა.** კრებამ უნდა განიხილოს პროექტი ამ სასწავლებლის საშუალო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ.

✦ ამ ზაფხულს პეტერბურგში დანიშნულია **მეხუთე კრება ბებია ქალ-ექიმებისა.** ამის გამო, გუბერნატორმა ყველა მაზრის უფროსებს მისწერა, ყველა ებრაელ ექიმებს, რომელთაც კი სურთ ამ კრებას დაესწრნენ, არ აეკრძალებათ თავისუფლად ცხოვრება პეტერბურგში 29 აგვისტოდან ვიდრე 5 ენკენისთვემდისო.

✦ პუშკინის ქუჩაზე, 16 მაისს, „მოსკოვსკი ტრაკტირის“ პატრონი გიორგი ქველიძე გძელი ბებუთით დასჭრა კოლა იაშვილმა.

შეცდომის გასწორება. ამას წინად ახალ ამბებში დაბეჭდილი გვქონდა (№ 73), რომ **ქარელში მოუკლავთ** ადგილობრივი მემამულე არჩილიშვილი, იგივე ციციშვილიო. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ეს ამბავი მართალი არა ყოფილა,—არავინ ციცაშვილი ქარელში არ მოუკლავთ.

ერობა კავკასიაში

—

ამ დღეებში ბ-მა პეკმა (იხ. „ივერია“ № 77) თავისი უკმაყოფილება გამოაცხადა იმის გამო, რომ მთავრობა კავკასიაში ერობის შემოღებას აგვიანებსო.

სავსებით ვეთანხმები პეკის აზრს, მხოლოდ მინდა მის შენიშვნებს ჩემი მცირე მოსაზრებაც დავუმატო.

სულთან-კრიმ-გირეის სიტყვით, ერობა კავკასიაში საცდელად ორ გუბერნიაში უნდა შემოიღონ: ტფილისსა და ქუთაისში.

არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენად გამოსადეგი და მოსახერხებელია საქართველოში ერობის გამოცდა. აბა ერთი ვნახოთ, ამ გამოცდიდან მიღებული შედეგი გამოსადეგი იქნება მთელ კავკასიისთვისაც თუ არა.

კავკასიის მცხოვრებნი სარწმუნოების მიხედვით რომ განვიხილოთ, გამოვა, რომ განჯის, ბაქოს გუბერნიებში და თერგისა და დაღესტნის ოლქები მაჰმადიანებისა იქნება, ერევნისა—სომხებისა, ტფილისისა და ქუთაისისა—მართლმადიდებლებისა, დანარჩენი არეულია.

ეთნოგრაფიულად რომ განვიხილოთ, გამოვა რომ ბაქოს და განჯის გუბერნიებში ადერბეიჯანელი ოსმალოები ცხოვრობენ, თერგისა და დაღესტნის ოლქებში—სხვადასხვა ტომის მთიულები, ერევნის გუბერნიაში—სომხები, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში—ქართველები, დანარჩენებში—სხვადასხვა ერები.

კავკასიის ერები ისტორიულად, სოციალურად, ეკონომიურად და კულტურულადაც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რუსეთში კი გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ კავკასია ერთ მთელს, ერთეულს წარმოადგენს.

ამრიგად ცხადია, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ერობის შემოღება საცდელად არავითარ პრაქტიკულ ნაყოფს არ მოიტანს და ტყუილ-უბრალოდ შეაფერხებენ რეფორმებს, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს მთელ კავკასიას.

მაგრამ ყველაზე საკვირველი და გაუგებარი ის არის, რომ ადგილობრივ მთავრობასაც კარგად ესმის ამ გამოცდის უნაყოფობა და უადგილობა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლის. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ ეს ცდა ნიადაგის სინჯვა იყოს, თორემ უბედურებაც იმაშია, რომ ყველა ეს მხოლოდ საქმის დაგვიანება და გადაფუჩეჩებაა.

(ნოვ.)

ვ. ბ. დ.

აგრარული საკითხი

—

მიწის ნაციონალიზაციის საკითხი მეცნიერებამ პირველად ევროპაში წამოაყენა, ხოლო შემდეგ ამერიკის შტატებშიაც გადავიდა, სადაც ჰენრიხ ჯორჯის მეოხებით დღეს დიდად გავრცელებულია.

პრაქტიკულად მისი განხორციელება კი უფრო ინგლისსა და ირლანდიაში მოხდა, სადაც მეფერმე კაპიტალისტებსა ჰქონდათ ხელში ჩაგდებული დიდი მამულები, რის გამოც მიწის სივიწროვე და სიძვირე გაძლიერდა. მაგრამ მაინც ყველგან ეს საკითხი მხოლოდ თეორიულ საკითხად არის დარჩენილი დღემდე.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თვითონ ამ საკითხის თეორიული გარკვევაც ძლიერ კოჭლობს: ზოგის აზრით, სახელმწიფომ უნდა მიითვისოს ყველა ზედმეტი შემოსავალი მიწისა, რაც მიწაზე დახარჯულს კაპიტალის სარგებელს აღემატება; სხვანი თხოულობენ საკუთრების გაუქმებას და ყველა ადგილ-მამულების კერძო მესაკუთრეთაგან ჩამორთმევას და სახელმწიფოს-მიერ იჯარით გაცემას ყველა მსურველებზე; იჯარით გაცემა მიწებისა ყველასათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომიო; საიჯარო მიწა საჯარო ვაჭრობით უნდა გაიცეს და, ვინც უფრო მეტს ღალას მისცემს, ის დაამუშავებსო; ან მხოლოდ იმათ მიეცეთ მთავრობისაგან მიწები, ვისაც თვითონ თავისი შრომით შეუძლიან მიწის დამუშავება და მოხმარებაო.

ამას გარდა, ამ საკითხს ფრიად ართულებს და ნისლითა ჰბურავს განვითარებულს ქვეყნებში მეტოქეობა და ინტერესები გაბატონებულის ბურჟუაზიისა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ყოველსავე კანონმდებლობაზე და ყოველსავე რეფორმას ამ მხრივ გზას ულობავს. მეორეც, აგრარული საკითხი იქ ისე გამწვავებული არ არის, რადგან განვითარებული და აყვავებული მწერლობა, ასე თუ ისე, მშრომელის უმრავლესობას სამუშაოს უჩენს, ხოლო დანარჩენი უმცირესობა აქა-იქ პოულობს დასასახლებლად მიწის ნაგლეჯებს.

ჩვენში კი ეს საკითხი სულ სხვა ელფერით იმოსება. ჩვენში იგი, მეცნიერების გარეშე, თვით ცხოვრებამ წარმოშობა თავის-თავად, როგორც ლუკმა-პურის საკითხი. თვით სიტყვა „ნაციონალიზაცია“ ჩვენმა ხალხმა არც კი იცის, მაგრამ მისი არსებითი შინაარსითა და აზრით გამსჭვალულია, თავის ქოხში ზევრჯელ გაუთვალისწინებია ეს და თავის ანდაზებშიაც ხშირად გამოუთქვამს.

ასეთი „მავნებელი“ შემეცნება დიდხანს ჩაგონებულად მიაჩნდათ, მაგრამ ეს დიდი შეცდომა და გაუგებრობა იყო. ნამდვილად კი იგი შემეცნება ხალხისა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ დამყარებულმა და უკიდურესმა მდგომარეობამ გამოიწვია. გლეხებმა ამ რეფორმის შემდეგ უფრო ნაკლები მიწები მიიღეს დასამუშავებლად, ვიდრე ბატონყმობის დროსა ჰქონდათ. ამ ნადელების გამოსყიდვა გაცილებით მეტად უჯდებოდათ, ვიდრე თვით მიწა იძლეოდა სარგებლობას, რადგანაც ამ „ნადელების“ დაწესების მიზანი უმოდ დარჩენილ თავადების ნივთიერი დაკმაყოფილება იყო, უშრომლად უზრუნველყოფა მათის არსებობისა და არა გლეხთა ბედის გაუმჯობესება. ორმოცის წლის განმავლობაში გლეხები ეწეოდნენ მძიმე უღელს ყველა სახელმწიფო ხარჯებისას, რომელიც 400 მილიონ მანათიდან 2 მილიარდზე ავიდა. ამ აურაცხელ ფულიდან, რომელიც სულ გლეხთა ნაოფლარიდან იყო შეგროვილი, თითქოს არაფერი არ იხარჯებოდა ხალხის განათლებასა და კულტურულს წარმატებაზე. მთელი თანხა სახელმწიფო კასებისა უფრო შეძლებულ კლასების ინტერესებს ჰხმარდებოდა და გლეხთა სასარგებლოდ კასის კარები არ იღებოდა. ამიტომ გლეხები მევახშე კაციჭამიების ხელში ჩაცვივდნენ და 100—200 და ზოგან 300 პროცენტს იხდიდნენ ვალებში. ნადელების სიმცირემ და ხალხის გამრავლებამ გამოიწვია მიწის ღალის გადიდება, ასე რომ მიწის დამუშავება გლეხობისთვის პირდაპირ საზარალო გახდა. ნედოიმკებისა და ვალების გასასტუმრებლად გლეხობა იძულებული შეიქმნა საქონელი გაეყიდნა. ამსახით დაიბადა ჩვენში სოფლის ბოგანო ხალხი, სოფლის უმიწაწყლო დღიური მუშა, სოფლის პროლეტარიატი. სად უნდა შესდგომოდა ეს ხალხი ბედის ძიებას, სად უნდა დაეკმაყოფილებინა კუჭის მოთხოვნილება მაინც? ჩვენი დაქვეითებული მრეწველობა მხოლოდ მცირე ნაწილს აძლევდა სამუშაოს. სამრეწველო საქმეები მუშა-ხელს ვერ გასწვდა.

და, აი, ხალხის ცხოვრებაში დადგა ხანა შიმშილობისა. ხალხმა ძალა-უნებურად შეჰკვეცა თავისი უმთავრესი მოთხოვნილებანი. ერთი ნაბიჯიც და—ხალხი სრულიად გადაგვარდება, ამოწყდება...

ლ. ბუხი.

(„ს. ო.“).

რუსეთი

—

ბულიგინის კომისია, როგორც გამოირკვა, ამ ნაირად უნდა შეივსოს: თითო გუბერნია აირჩევს 10—14 კაცს, წოდებათა წარმომადგენლებს. ამ რიცხვიდან **მთავრობა აირჩევს** სამსამ კაცს, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ ძირითადი კანონები სახალხო წარმომადგენლობისა (ნ. ქ.)

✦ ამ თვრამეტიოდე წლის წინად რუსეთის ბიუროკრატიამ გააძევა განთქმული მეცნიერი, პროფესორი მ. კოვალევსკი, რომელიც დღემდის საზღვარ გარედ ცხოვრობდა და ლექციებს კითხულობდა. ხმა დადის, პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის საბჭომ სთხოვა კოვალევსკის, რუსეთში გადმოდით და პროფესორის ადგილი მიიღეთო. ამასაც ამბობენ, **ვითომ მთავრობამ კოვალევსკის რუსეთში დაბრუნების უფლება მისცა** (ნ. ქ.).

✦ რუსულ უმაღლეს სკოლას პარიზში გადაუწყვეტია, **თუ რუსეთში წესწობილება შეიცვლება,** ჩვენი სკოლა რუსეთში გადავიტანოთო. თუ ეს მართალი გამოდგა, ეს პირველი თავისუფალი უნივერსიტეტი იქმნება რუსეთში (ნ. ქ).

✦ იალტაში შეუდგენიათ ცალკე შეიარაღებული **რაზმი,** რომელშიაც 800 კაცი ჩაწერილა. ამ რაზმს მიზნად თავის თავის დაცვა აქვს (ნ.).

✦ ამ დღეებში მოსკოვში მოხდა კრება რუსეთში ახლად დაარსებულ 14 კავშირთა დელეგატებისა. დელეგატებს ცალკე ბიურო დაუარსებიათ, რომელმაც თავი უნდა მოუყაროს ყველა კავშირთა წარმომადგენლებს **და ყველა კავშირებისგან ერთი საერო კავშირი შეჰქმნას** (ნ. ქ.).

— ამბობენ, ამ ახლო ხანში სინოდის პროკურორი პობედონოსცევი ისეთ დანიშნულებას მიიღებს, რომ პობედონოსცევს ადვილად შეეძლება გავლენა იქონიოს სახელმწიფოს ყველა საქმეზე (რ.).

წერილები რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო!

6—9 თებერვალს ბაქოში რომ საშინელი ამბები ხდებოდა, როგორც კავკასიის, ისე რუსეთის გაზეთებში იბეჭდებოდა დეპეშები და ამბები მეტად ტენდენციურის ხასიათისა; იბეჭდებოდა იმ მიზნით, რომ გაემწვავებინათ მდგომარეობა, გამოეწვიათ ცუდი ვნებანი; ამისათვის ხან ერთ ერს, ხან მეორეს სახავდნენ დამნაშავედ და აქეზებდნენ ერთმანეთზე. ამასთანა ტენდენციური ამბები იგზავნებოდა წინად ბაქოდან და ერევნიდან; ეხლა იგზავნება ნახიჩევანიდან.

ვუცხადებთ-რა ზიზღს ტენდენციურ ხმების გამვრცელებელს, უმორჩილესად ვთხოვთ გაზეთებს—ნუ ჰბეჭდავენ წამაქეზებელ ამბებსა და შეუმოწმებელ ხმებს ნურც ნახიჩევანიდან და ნურც სხვა ადგილებიდან.

(ხელი უწერია 528 კაცს: 276 სომეხს, 236 თათარს, 1 ქართველს, 3 ებრაელს და 2 რუსს. რედ.)

II

დადგა დრო განსჯა-განკითხვისა; დიდი ხნით ტანჯულმა ხალხმა აღიმაღლა ხმა... დიდება მათ, ვინც ამ დიდებულ დროში ხალხს მეთაურობას უწევს დირსეულად და მისთვის თავს სწირავს. ერთმა ასეთმა პირმა უკვე შესწირა ხალხის კეთილ-დღეობას თავი: სამართლისათვის მებრძოლი შამშე გელოვანი ხალხის მტერთაგან მოკლულ იქმნა. ხალხის მტრებმა გამოასალმეს იგი სიცოცხლეს, არ დაასწრეს იმ ბედნიერ დღეს, რომლის დასახმარებლად იღწოდა დაუღალავი მუშაკი თავისუფლებისა—შამშე. ენა ვერ გამოსთქვამს, კალამი ვერ აღწერს იმ ზიზღს, რასაც ჩვენი გული გრძნობს, ხალხის ინტერესთა დამცველ შამშეს მკვლელთადმი! მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ მტარვალებმა მოჰკლეს მხოლოდ მისი ხორცი,—სული კი ხალხში ტრიალებს. მისი პატიოსანი სახელი ღრმად აღიბეჭდება ხალხის გულში, თავისუფლების ისტორია არ დაივიწყებს მას.

ლევან მაღლაშვილი, იასე რაჭველი, № 1, ლადიკო გ. თავბერიძე, პორფილე მეხუზლა, კონსტანტინე, სპირიდონ მცირიშვილი, ივლიანე ალექსიძე, გუჯაბაძე, არ. ქლენტი, დათიკო ქლენტი, ნოე მეხუზლა, ისაკი ვასაძე, ბართლომე კილაძე, გიორგი თავართქილაძე მათე რუსაძე, თედორე კალანდარიშვილი, სამსონ რუხაძე, დომენტი მშვიდობაძე, ექვთიმე ქოქიკაშვილი, სერგო პანტურაია, ვარლამ ბერძენიშვილი, ერმილე გეგენავა, გერასიმე პეიშვილი, ი. ქინქლაძე, ნოე ნ. ჩხატარაშვილი, სტეფანე ტუღუში, ირაკლი გობრონიძე, ვერასიმე კეკელიძე, ს. ნ. რუხაძე, ვ. რუხაძე, ვ. შავლაძე, ი. შენგირაძე, დ. მამალაძე, ნესტორ რუსიეშვილი, აბიონ სალუქაძე, გიორგი ბარხუდაროვი, ილია შაფაქიძე, არჩილ სალუქაძე, კოლია ისტომინ, მიხაილ ივანოვი, გრიგორი სალუქაძე, არშაკ ნაზაროვი, ალექსანდრე პ. სიხარულიძე, ალექსანდრე მებუკე, პ. ბახტაძე, ვასილა ნიკოლაიშვილი, სოსიკო ჩაჩუა, ივანე ელჩიბეგოვი, ლავრენტი გუნგია, ისაკი გეგიაძე, ისაკ ქუჩგალოვი, ანტონ მუჯირი, ნიკო ხონელი, სპირიდონ ჭანუყვაძე, გრიგორ მაქს. შაფაქიძე, ნიკო დათუნაიშვილი, იაგორ თიკანაძე, პავლე თავართქილაძე, პორფილე თავამაშვილი, ლუარსაბ მეტრეველი, გრიგოლ გიგუაშვილი, ვასილ წულაძე, ვეტორი ვადაჭკორია, შაქრო გიგუაშვილი, ივან, აბუსერიძე, ეკა აბუსერიძისა, გიორგი მაჭავარიანი, სოლომონ ბოლქვაძე, კოსტა თოდაძე, გაბრიელ ნინუა, პორფილე არჯამანიძე, სევასტი ბოგვერაძე, სამანიშვილი ლუკა, ივლიანე ნინუა, ნიკოლოზ ალენიკოვი, სიმონ სამანიშვილი, რაფიელ გოგიბერიძე, ილარიონ თედორაძე, სპ. ქელიძე, იპოლ. წილოსანი, თედ. პატარაძე, ივანე ჩხენკელი, ნოე გუგუშიძე, გიორგი გუბელიძე, ერისტო ჯავახაძე, გიორგი ოდიშარია, გიორგი ლომთათიძე, დიანოზ გეგეჩქაძე, პავლე სულავა, მიხაილ გაგუა, პავლე კობალეიშვილი, ალექსი გუსარის-ძე ლომაია, იოსებ მუხურაძე, ივანე დანელია, გერასიმ ხუროძე, ლაზარე სანოძე, ილიკო სანოძე, მიხა მიქელაძე, ილარიონ დევდარიანი, დიომიდე სურგულაძე, ანდრეი შეროზია, კიმოთე ფარულია, პავლე ჭავჭავძე, თეოფანე გვარამია, ლევან გაბუნია, კოსტა აბაშიძე, აპშილავა, ალექსი ხომერიკი, მიხაილ კალანდარიშვილი, გიორგი სოსელია, კოსტანტინე სოსელია, იასონ ბაქრაძე, ვარლამ ლარიძე, ალექსანდრე მახარაძე, არსენ ლომინაძე, ალექსანდრე გორდაძე, ტრ. ინასარიძე, ისიდორე გოგეშვილი, ყაისარ ჩხიკვაძე, კ. გოგოლაძე, რ. რამიშვილი, ალექსანდრე მგელაძე, ს. ერისთავი, რიზაბეი აბაშიძე, კნ. თამარა აბაშიძე, კნ. ნინო აბაშიძე, კნ. პარასკევა აბაშიძე, კნ. ლიდა აფაქიძე, კნ. ოლგა გელოვანი, ზიაბეგ აბაშიძე, ელპიდა მგელაძისა, მ. ჩაჩიბაია, ივლ. გოგოლაშვილი, ან. გოგოლაშვილისა, ტასო ლომინაძე, დ. კლდიაშვილი, მაშო გაბუნია, ნიკო აღნიაშვილი, მ. გოგიჯანოვისა, გრ. ვოლსკი, ლ. გვარჯალაძე, ნ. ბერძენიშვილი, მ. შარაშიძე, ხარლამპი ძაძამია, მემედბეგ აბაშიძე, გიორგი ერქომაიშვილი, ნ. მესხი, ივანე მესხი, პაშა მაჭავარიანისა, გ. გელაზიანი, ნ. კოკაია, თედორია ჩაჩიბაისა, ვარა მაჭავარიანი. *).

რედ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

18 მაისი.

შანხაი, 17 მაისი. ვუზუნში რუსთა ექსმა ტრანსპორტმა მისცა პირობა, ნავთსადგურიდან არ გაელთო.

ბერლინი, 17 მაისი. ტოკიოდან მიღებულ „ლოკალ-ანცეიგერის“ ცნობებით, ჯავშნოსანი „იმპერატორი ნიკოლოზ პირველი“ ნაღმებისაგან ძლიერ დაზიანებულია. ეკიპაჟი ცდილობდა მის აფეთქებას. „ლოკალ-ანცეიგერს“ შანჰაიდან ატყობინებენ, დღეს დილით აქ მოვიდა დიდი სანაზღვაო გემი „კორეა“, რომელსაც მარჯვენა გვერდი შენგრეული აქვსო. კორესპონდენტის აზრით, შანჰაის მიდიან აგრეთვე სხვა გემებიც. იაპონელების გამარჯვებას ხელი შეუწყო ნაღმოსნებმა.

ომსკი, 17 მაისი. ადმირალმა ბირილიოვმა გაიარა.

ლონდონი, 17 მაისი. როჟესტვენსკის სვებედის შესახებ სხვადასხვა ამბავი მოდის. „დეილი ექსპრესს“ ატყობინებენ, თუმცა ჯერ ნამდვილი არა სჩანს, ვითომც ის გემი, რომელზედაც როჟესტვენსკი გადვიდა „კნიაზ სუვოროვიდან“, იაპონელებმა შეიპყრესო. იუწყებიან აგრედვე, ნებოგატოვი და ფელკერზამიც ტყვედ წაუყვანიათო. იაპონიის საელჩომ გამოაცხადა ტოკიოდან მოსული დეპეშა, რომ რუსების ოთხი გემი შეუპყრიათ და რომ 17-ს მისულან „ორიოლი“—მაიზურას, „ნიკოლაი“, «აპრაქსინი», და „სინიავინი“—სასებოს. ტოგო იუწყება, რუსებს დაეღუპათ ორი ჯავშნოსანი, სამი კონტრ-ნაღმოსანი, ერთი სანაპირო ჯავშნოსანი, ხუთი კრეისერი და ორი განსაკუთრებულ სამსახურის გემი. იაპონელებმა შეიპყრეს ორი ჯავშნოსანი, ორი სანაპირო ჯავშნოსანი, ერთი განსაკუთრებულ სამსახურის გემი, ერთი კონტრ-ნაღმოსანი, 2,000-ზე მეტი მეზღვაური. იაპონელების ესკადრა უვნებლად დარჩა კობეში.—იაპონელ მეთევზეებს გადურჩენიათ და მოჰყავთ დაღუპულ გემების მეზღვაურები. რუსები ამბობენ, იაპონელებს შორს-მსროლი ზარბაზნები ჰქონიათ და ამიტომ იაპონელებისგემები რუსებისას აზიანებდნენ და თითონ კი უვნებლად რჩებოდნენ. ამის გამო რუსებს ჯერ არეულან და მერე თავზარი დასცემიათ, რასაც ნაღმოსნების იერიშმაც ხელი შეუწყო.

მოჯი. „ნახიმოვის“ კაპიტანი და მეორე აფიცერი დიდხანს ეწვალნენ ზღვაზე და ღონემიხდილები სიმონოსეკელ მეთევზეებს გადურჩენიათ.

შანჰაი. ტრანსპორტი „კორეა“ და ნაღმოსანი „სვირი“ ვუზუნს მისულან და ამბავი მოუტანიათ, იაპონელების ერთი ჯავშნოსანი დაიწვა და ორი კრეისერი დაიღუპაო, სულ ვითომც დაღუპულა 6 გემი.

ცინტაო. იაპონელები აღიარებენ, რომ ორი ჯავშნოსანი, ერთი კრეისერი და ცხრა ნაღმოსანი დაეღუპათ.

პეტერბურგი. ვლადივოსტოკიდან 17 მაისს დეპეშით იუწყებიან, ნაღმოსანი „გროზნოი“ მოვიდაო. დაჭრილი კომანდირი ანდრეევი ამბობს, იაპონელების დიდი ძმუსრავი დაგვედევნა, რომელსაც „გროზნოი“ კარგახანს ზარბაზნს ესროდა და ერთი ყუმბარა მოარტყა კიდეც, რის გამო იგი დაიღუპაო. „გროზნოი“-ზე მოკლულია ერთი აფიცერი და სამი მატროსი. ნაღმოსანი უზიანოა.

ლონდონი, 17 მაისი (საკუთარ კორესპონდ.). დიდად აქებენ როჟესტვენსკის გაბედულობას. ამბობენ, ისეთ გარემოებაში იყო ჩაყენებული, რომ პირის-პირ უნდა შეჰყროდა მტერს სწორედ იმ ადგილს, სადაც დამარცხების შიში ჰქონდა. ყველა იმ აზრისაა, რომ ეხლანდელ მდგომარეობას ზავი უნდა მოჰყვესო. დილისა და საღამოს გაზეთები ერთხმად ზავზე ლაპარაკობენ, როგორც რუსის ესკადრის დამარცხების ერთად-ერთ სასურველ შედეგზე.—პარიზიდან იუწყებიან, დაუყოვნებლივ დაიწყება მოლაპარაკება საფრანგეთისა და რუსეთის მთავრობათა შორის და ამავე დროს ამერიკაში პრეზიდენტ რუზველტსაც კვალად შეუჩნდნენ მეგობრები, რომ შუამავლობა იკისროს და მოლაპარაკება დაიწყოს. მთელ პრესსას უმედოდ მიაჩნია რუსეთის გამარჯვება და მტკიცედ თხოულობს, რომ ომი მოისპოს.

ვენა. სასამართლომ განიხილა საქმე ყუმბარების გამო ტრიესტში და მიუსაჯა: სუბანს ექვსის თვით და დენაულს რვა თვით დაპატიმრება მეფის შეურაცხყოფისათვის, სალატეი დააჯარიმა ასის კრონით იმის გამო, რომ საიდუმლო საზოგადოებაში მიიღო მონაწილეობა.

პარიზი, 17 მაისი. ესპანიის მეფე ელისეის სასახლეში მოვიდა. ლუბე მეფეს გესტბაულში შეეგება დიდის გულმოდგინებით.

ბათომი, 17 მაისი. გუშინ დღით ავაზაკებმა მოჰკლეს ოსმალთა ყადი. შეკრებილი მუსულმანება მოქალაქეებს სთხოვენ მკვლელს. ავაზაკები მიიმალნენ.

კალიში, 17 მაისი. გაიფიცა 800 მუშაქი.

შუია, 17 მაისი. გაფიცვა იწყება ქარხნებში. ნეპურჩილოვის ქარხნის მუშები გაიფიცნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83⅞
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	377
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	288
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	254½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სააღ.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	192
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

*) ხელს აწერს სულ 153 კაცი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. (11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის.

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

ზესტაფონიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ВЪ ЦЕНТРАЛЬНОЙ КНИЖНОЙ ТОРГОВЛѢ, въ Тифлисѣ, поступили въ продажу:

Вандервельдъ. Промышленное развитіе и общественный строй. О. ц. 50 к. перес. 25 к.

Батуринскій. А. И. Герценъ, его друзья и знакомые. Матеріалы для исторіи общественнаго движенія въ Россіи, т. I. С. П. ц. 2 р. 50 к. перес. 30 к.

Еллинекъ. Декларація правъ человѣка и гражданина. М. ц. 40 к. перес. 15 к.

Зутнеръ. Долой оружіе! Анти-милитарный романъ. С. П. ц. 80 к. перес. 25 к.

Карно. Исторія французской революціи. С. П. ц. 1 р. перес. 25 к.

Лозинскій. Исторія второй французской республики. К. ц. 2 р. 50 к. перес. 40 к.

Риккертъ. Границы естественно-научнаго образованія понятій. Логическое введеніе въ историческія науки. С. П. ц. 3 р. пер. 40 к.

Мазуренко. Всероссійскіе земскіе соборы. Историческій очеркъ. С. П. ц. 25 к. перес. 15 к.

Энгельсъ. Къ критикѣ политической экономіи. О. ц. 25 к. перес. 15 к.

Заказы иногороднымъ исполняются по полученіи денегъ и четко писаннаго адреса.

(2—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ საბჭოს დადგენილებით 1904 წლის, 7 დეკემბრის თარიღით, რომელიც უკვე ძალაში შევიდა, უძრავ მამულთა დამფასებელ გარდასახადზე თითო დროზე გადაუხდელობის გამო 1905 წ. 1 იანვრიდან პროცენტი ჯარიმა გარდაიდება ცხრის მაგიერ—თორმეტი წლიური პროცენტი, ე. ი. ყოველს ვადა გადაცილებულ თვეში მანეთზე 1 კაპ.

(3—1).

პირველად ქართულ ენაზე

✦ ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი ✦

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც [illegible] ... Тифлисъ, книжная торг. I. З. Имедашвили.

(10—5—5)